ისტახრი

ჰუდუდ ალ-ალემი

ჰამდალლაჰ ყაზვინი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს ისტორიის კაბინეტი

საქართველოს ისტორიის წყაროები
სერია IV: ირანელი ავტორები

ისთახრი

ჰოდუდ ალ-ალემი

ჰამდალლაჰ ყაზვინი

თარგმანი შენიშვნებით და საძიებლითურთ
ვ. ფუთურიძისა

K 2.691 / 4
სპეც-2000
შემოწმებულია

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი—1937

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	III
ისთახრი	1—10
გზანი და სამეფონი	2—10
ჰოდუდ ალ-ალემი	11—16
ჰამდალლაჰ ყაზვინი	17—37
ნოზჰათ ალ-ყოლუბი	19—26
თარიხე გოზიდე	27—37
შენიშვნები	39—43
საძიებლები	44

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ირანის მწერლობა, როგორც საისტორიო ისე საერთოც, მეტად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს საქართველოს ისტორიისათვის, განსაკუთრებით გვიანდელი ფეოდალიზმის ეპოქისათვის.

სამწუხაროდ ამ ყოველმხრივ მდიდარი ლიტერატურის ბევრი საყურადღებო ძეგლი ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი რჩება ან გამოცემულია არა კრიტიკულად და ამავე დროს მეტად ძნელად საშოვარიც არის. მაგალითად, ჯერ კიდევ სრულად გამოცემული არ არის რაშიდის სახელგანთქმული „მატიანეთა კრებული“, მთელი აღმოსავლეთის საშუალო საუკუნეებისათვის საყურადღებო წყარო. არ არის სათანადოდ გამოცემული ისკანდერ მუნშის „ალემ არაჲე აბბასი“—შაჰაბასის ისტორია, რომელიც, პროფ. მინორსკის თქმის არ იყოს, საისტორიო, საეთნოგრაფიო და სხვ. მრავალი დარგის ცნობების ნამდვილ სამადნოს წარმოადგენს ირანის და მისი მიმდგომი ქვეყნების ისტორიისათვის.

ტექსტების შოვნის სიძნელე საშუალებას არ გვაძლევს დავიცვათ ჩვენს სერიაში წყაროების ქრონოლოგიური მიმდევრობა და ამიტომაა, რომ მე-10 საუკუნის ძეგლს, „ჰოდუდ ალ-ალემს“ ამ პირველ ნაკვეთში უშუალოდ მოსდევს მე-14 საუკუნის დასაწყისის ავტორი, ჰამდალლაჰ ყაზვინი, ხოლო მასზე ადრინდელი ისტორიკოსის ჯუვეინის ცნობები მეორე ნაკვეთში გვაქვს გადატანილი.

ტექსტი და ქართული თარგმანი ამ წიგნშიც უნდა დაბეჭდილიყო [illegible] ლელურად, როგორც ეს შემოღებულია „საქართველოს ისტორიის [illegible] სხვა სერიებში, მაგრამ ტექნიკური დაბრკოლებებ[illegible] დაგვერღვია ეს წესიც და ირანული ტექსტი ლითოგრაფიულად [illegible]

სურათები ამოღებულია აკად. დორნის ქვემო მოხსენებ[illegible].

ვ. ფ[illegible].

თბილისი, 20. VI, 1937 წ.

---

*) ქართული თარგმანის მკითხველისათვის ტექსტებ[illegible] გა-საადვილებლად, თარგმანის აშიებზე ირანული ტექსტის [illegible] ნაწყვეტები.

ი ს თ ა ხ რ ი

აბუ ისჰაკ იბრაჰიმ ბენ მოჰამედ ალ-ფარისია ალ-ისთახრის არაბულად აქვს დაწერილი თავისი შრომა „მესალექ ალ-მემალექ" „სამეფოთა გზები" (ირანულ რედაქციაში „გზანი და სამეფონი"). მაგრამ ძველადვე გადათარგმნიათ ის ირანულ ენაზე და ეს თარგმანი ცნობილია, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რედაქციათაგანი ისთახრის ამ შრომისა. ამიტომ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ შევვეტანა ის „ირანელი მწერლების ცნობებში საქართველოს შესახებ".

ისთახრის ბიოგრაფიიდან ვიცით მხოლოდ, რომ ის ცხოვრობდა მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, თავისი გეოგრაფიული შრომა მას 930—933 წწ. დაუწერია. მისმა ნაწარმოებმა გავლენა მოახდინა არაბი და ირანელი მწერლების მთელ რიგ შემდგომ გეოგრაფიულ შრომებზე. კერძოდ, ასეთი გავლენა განუცდია და ისთახრის ცნობებით უსარგებლნია ქვემოთ მოყვანილ ანონიმ გეოგრაფს, ჰოდუდ ალ-ალემის ავტორს.

ისთახრის შრომის არაბული ტექსტი გამოცემული აქვს de Goeje-ს — „Bibliotheca geographorum arabicorum" Lugd. Batav. 1870, ტ. I. აქედან ამოუღია ნ. კ ა რ ა უ ლ ო ვ ს ცნობები კავკასიის, არმენიისა და აზერბაიჯანის შესახებ (Н. А. Караулов, Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербейджане. I. Ал-Истахрий: „Сборн. матер. для опис. местностей и плем. Кавказа", вып. 29). შესატყვისი ადგილები ირანული ტექსტისა გერმანულ თარგმანთან ერთად გამოცემული აქვს აკად. დ ო რ ნ ს: Geographica Caucasica: Memoires de l'Academie Imperiale des sciences. T. VII, 1847. ჩვენ ამ გამოცემით ვსარგებლობდით. ძირითად ტექსტად დ ო რ ნ ს გამოყენებული აქვს მეცნიერებათა აკადემიის ყოფ. სააზიო მუზეუმის (ამჟამად აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის) ხელნაწერი № 603 c, რომელიც 1751 წელს ყოფილა გადაწერილი ვინმე გ ო ლ მ ო ჰ ა მ ე დ ფ ე შ ა ვ ე რ ი ს მიერ, ხოლო ამავე მუზეუმის მეორე, უთარიღო ხელნაწერიდან № 603 cc მას ვარიანტები მოჰყავს. წინამდებარე ნაკვეთში მოცემული ისთახრის ტექსტი ორივე ხელნაწერის მიხედვით არის წარმოდგენილი.

ტექსტზე მუშაობის დროს ჩვენ ვსარგებლობდით აგრეთვე პროფ. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ დაწყებული ლითოგრაფიული გამოცემის რამდენიმე თაბახით, სადაც სხვა ირანელ ავტორებთან ერთად ისთახრის ცნობებიც არის მოყვანილი. ეს გამოცემა, სამწუხაროდ, არ დამთავრებულა და დაბეჭდილი თაბახებიდანაც მხოლოდ ორიოდე კომპლექტია გადარჩენილი.

გზანი და სამეფონი

არმენიის, არანის და აზერბაიჯანის ხსენება.

ვინაიდან ჩვენ ერთად მოვიხსენიებთ იმას, რაც ამ ქვეყნებს ეკვრის აღ-
მოსავლეთიდან და ქუჰესტანიდან და ხაზართა ზღვის[1] აღმოსავლეთ მხარეს, და
რაც ამ (გეოგრაფიულ) სარტყელს ეკუთვნის არმენიის, არანის და ყესაყის მთე-
ბის სიახლოვეს, [აგრეთვე] რაც ამას ეკვრის ერაყის ქვეყნის სამხრეთ საზღვ-
რიდან და ზოგ რამე [ნაწილს] ჯეზირესას,[2] —ამიტომ ჩვენ ისინი ერთ სარტ-
ყელში მოვაქციეთ, როგორც ეს გამოხატულია სურათზე*. ღმერთი მწყალო-
ბელია!

უდიდესი ქალაქი აზერბაიჯანში არდაველია. ზომით ის ფარსანგის[3]
2 ორი ნაწილია სიგრძით და სიგანით. იქ არის მმართველის სასახლე. || მას აქვს
კედელი და ოთხი კარი. მდიდარი ადგილია[4] და აქვს დაბები[5]. ორ ფარსანგზე
დაშორებით მისგან ერთი მთაა, რომელსაც საბელანს[6] ეძახიან. არც ზაფხულსა
და არც ზამთარს იქ თოვლი არ ქრება. მარაღა[7] არდაველის ოდენა იქნება
და ძველად მეფეთა საჯდომი ადგილი ყოფილა. დაბა, ბაღი, ხილნარი და ყანა
ბევრი აქვს. ჰქონდა კედელი, იბნ საჯმა[8] დაანგრია.

ურმია დიდი ქალაქია, მდიდარი. ფასები იქ დაბალია; ის ტბის ნაპი-
რას მდებარეობს და ბევრი მშვენიერი წალკოტი აქვს. მიანე, ხუნე, ფერ-
ვანანი, ხოი, სალმასი, ნესევა, მარანდი, თაბრიზი, ვარსანი,[9]
მულანი, ხაბურანი, აშენე და ბესვა მცირე ქალაქებია.

ბარდავი გაშენებული ქალაქია, მრავალ ხილიან-ყანებიანი. ერაყსა და
3 ხორასანში, რეისა || და ისპაანის გამოკლებით, ბარდავზე უფრო დიდი, მშვენი-
ერი და აყვავებული ქალაქი არ არსებობს. ბარდავიდან ერთი ფარსანგის მან-
ძილზე ქერნეს,[10] ლასუთის და იაყთანის შუა არის ერთი ადგილი, რომელსაც
ენდერაბს უხმობენ. ერთი დღის სავალზე სულ ბაღ-ბოსტნითა და ხილნარით
არის სავსე. იქაური თხილი სამარყანდის თხილზე უკეთესია და მათი წაბლი
სირიულ წაბლზე უმჯობესი. ბარდავში ლეღვი უკეთესია, ვიდრე სხვაგან. ბევრი
აბრეშუმი მოჰყავთ და თუთის ხეები იქ საერთო მფლობელობაშია. აბრეშუმი
იქიდან გააქვთ ირანში. იქ არის მდინარე მტკვარი და ამ მდინარეში იჭერენ
ორგვარ თევზს, „დერაფენს“ და „ეშერს“, რომლებიც სხვაგვარ თევზებზე უკე-
თესია. ქალაქის კართან არის ბაზარი, რომელსაც ქურქის ეძახიან. კვირაო-
ბით იქ ბაზრობაა. სიგრძით ეს ბაზარი ერთი ფარსანგია და სიგანით ერთი

*) იხ. ტაბ. I.

ფარსანგი (სიტყვა-სიტყვით: ერთი ფარსანგი ერთ ფარსანგზე). ერაყიდან და
ხორასნიდან ხალხი იქ იყრის თავს. ის ლურესერე-ს ბაზარზე უფრო დიდია.
|| კვირეულის დღეების ჩამოთვლის დროს ხალხი ამბობს ხოლმე: შაბათი, ქურ- 4
ქი, ორშაბათი, სამშაბათი (და სხვ.). სალარო საკრებულო მიზგითშია: კარები
ამ სახლისა რკინისაა, ბანი ტყვიისა, ცხრა სვეტიანი. მმართველის სასახლე სა-
კრებულო მიზგითის გვერდით არის. ბაზრები ქალაქის გარეუბანშია.

ხოლო დარუბანდი არის ქალაქი, რომელიც გაშენებულია ზღვის პირას.
ზღვის ლბის ორივე ნაპირზე ორი ზღუდეა გაყვანილი იმ ადგილამდე, სადაც გე-
მის შემოსასვლელი ადგილი დავიწროვდება. ამ შესართავთან წყალზე გაბმული
აქვთ ჯაჭვი, რათა გემს მხოლოდ მათი (დარუბანდელების) ნებართვით („ფირ-
მანით“) შეეძლოს შემოსვლა ან გასვლა. ეს ორი ზღუდე ქვისა და ტყვიისაგან
არის აგებული. დარუბანდი თაბარისტანის ზღვის ნაპირზეა გაშენებული და არ-
დაველზე მეტი იქნება. ნათესები და ყანები იქ ბევრია, ხილი კი ცოტა აქვთ,
ის მიმდგომ კუთხეებიდან მოაქვთ. ამ ქალაქს აქვს მრავალი პატნეზი[11] ქვისა,
გრძლად მთამდე გაჭიმული. || სხვა პატნეზიც აქვს თიხისა, ასე რომ იმ მთიდან 5
არავის ურწმუნოთაგანს ქალაქში [შემოსასვლელი] გზა არ აქვს. ნაწილი ამ პა-
ტნეზის კედლისა, რომელიც ქვისაგან გაუკეთებიათ, ზღვაშია შესული ექვსი
ბურჯის სიგრძეზე, რათა გემი ქალაქის პატნეზს ახლოს არ მოადგეს. ეს ნაგე-
ბობა მტკიცეა, ანუშირვან სამართლიანის მიერ აგებულ შენობათა [რიცხვს
ეკუთვნის]. ქალაქი დარუბანდი დიდი და განთქმული ქალაქია. ამ ქალაქს ბევრი
მტერი ჰყავს გარშემო, სხვა და სხვა ენაზე მოლაპარაკე. ამ ქალაქის გვერდით
არის ერთი დიდი მთა, რომელსაც ედიბს[12] ეძახიან. ამ მთაზე ყოველ წელს
აგროვებენ ბევრ შეშას და დაანთებენ დიდ ცეცხლს, როცა მათ საფრთხე მოე-
ლის მტრებისაგან აზერბაიჯანის, არმენიისა და არანის მხრიდან. ბევრჯერ მო-
მხდარა, რომ ამ ზღვის წყალს ქალაქის პატნეზამდე მიუღწევია. ამბობენ, ამ
მთაზე, რომელიც ქალაქ დარუბანდს ეკვრის, სამოცდათორმეტი [სხვა და სხვა]
ხალხი ცხოვრობს და თვითეული მათგანი განსხვავებულ ენაზე || ლაპარაკობსო, 6
ასე რომ მეზობელმა არ იცის მეზობლის ენაო. ირანის მეფენი ყოველთვის დიდ
მნიშვნელობას აძლევდნენ ამ ქალაქს, ისინი მას ეურთხილდებოდნენ და მტრე-
ბისაგანაც დიდად იცავდნენ. ამ ქალაქის დაცვის მიზნით მათ დააყენეს იქ
ხალხი, რომელსაც ტაბარსერანს[13] უწოდებენ. მეორე ხალხი ცხოვრობს ამ
ქალაქის მხარეზე და მათ კიდევ ფილანებს ეძახიან. კიდევ სხვა ხალხიც არის,
მათ ლეგზებს უხმობენ, სიმრავლის გამო მათი დათვლა შეუძლებელია. ორი
სხვა ჯგუფი კიდევ არის, მათ ალბეზანს[14] და ჯერვანს უწოდებენ. ამ ტო-
მების ლაშქარი უმთავრესად ქვეითია, ცხენოსანი ცოტაა. ეს ქალაქი ნავსადგუ-
რია ხაზართა და სერირთათვის, გურგანის, ტაბარისტანის, ქართველებისა და
ყაითაყისათვის; მთელს არანსა და აზერბაიჯანში სელის ტანისამოსი დარუბან-
დიდან გააქვთ. იქ ტყვეც (მონებიც) იშოვება და ზაფრანაც მოდის. ამ
ზღვის პირას არის ერთი ქალაქი, რომელსაც შაბერანს უწოდებენ; მცირეა,
[მაგრამ] მდიდარი და მრავალდაბებიანი. ამ დაბების ზემოთ || არის დაბა ჯეს- 7
მდანი შარვანის, ბაქოს, ღებეყის და ლეგზთა[15] საზღვრამდე. ამ დაბაში

ციხეა ერთი იმდენად დიდი [და] ფართო, რომ იმ ქვეყნის საქონელს იქ უყრიან თავს, რათა იბალახოს და ილაღოს, და მისი დარაჯობა საჭირო არაა სრულებით.

ხოლო ტფილისი დარუბანდზე ნაკლებია და ორი კედელი აქვს თიხისა. სიმდიდრით სავსე ადგილია, მრავალ ხილიან-ნათესებიანი. მრავალგვარი საქონელი და თაფლი მტკვრით მიაქვთ იქიდან.[16] აქვს თბილი წყლები, მსგავსად ტიბერიისა უცეცხლოდ ცხელი. მთელს არანში ბარდავზე, დარუბანდზე და ტფილისზე უფრო დიდი ქალაქი არ არსებობს. ხოლო ბაილაკანი, ვარსანი,[17] ბერზენჯი, შამახია, შაბურანი, შარვანი, ლაიჯანი,[18] ყაბალა, განჯა, შათარი და შამქორი მცირე, მაგრამ მდიდარი ქალაქებია.

დვინი არდაველზე უფრო დიდი ქალაქია; ის არის არმენიის დედაქალაქი და მმართველის საჯდომი ალაგი იქ იყო. ისე, როგორც ბარდავია არანის სატახტო ქალაქი, არდაველი—აზერბაიჯანისა და დვინი არმენიის მთავარი
8 ქალაქებია. დვინს აქვს განიერი პატნეზი || და [სხვა] საკვირველი რამეები. ქრისტიანები იქ ბევრია და მიზგითი და ეკლესია ერთმანეთთან ახლოს დგანან. ასე ამბობენ, ამ ქალაქში ებრაელებმა თუ სომხებმა მინარე მოიპარეს.[19] დვინიდან მოდის მშვენიერი საფენები და ნოხები, მშვენიერ ყირმიზის საღებავსაც [იქ] აკეთებენ. მსმენია, რომ ყირმიზი—ჭიაა. იქიდან მოდის ბევრი ბისონი. წინათ ის (დვინი) აშოტის შვილის სუმბატის[20] ხელში იყო, და მას ყოველთვის ქრისტიანი მეფეები ფლობდნენ. არმენიის მცხოვრებთა უმრავლესობა ქრისტიანებია. ერთი საზღვარი არმენიას ბარდავის მხარეზე აქვს და მეორე—ჯეზირესაკენ, მესამე საზღვარი—აზერბაიჯანისა. დეილემის მთებისა და რეისაკენ, მეოთხე—რუმის[21] სანაპიროებისაკენ. ადერბაიჯანელები მიდიან ხოლმე ამ სანაპიროებზე სათარეშოდ. ტრაპიზონი რუმის საზღვარია. ვაჭრები იქ იყრიან თავს და ყველაფერი, რაც იმ ქვეყნებში იშოვება, ტრაპიზონიდან მოდის. ხოლო მესვა, ბერქერი,[22] ხლათი, მელაზგერდი, ბიდლისი, ყალიყალა, არზენი, მიაფარეყინი და სერუჯი, ყველა ესენი—მცირე ქალაქებია და ყველა გაშენებული.

ამ ქვეყნების მდინარეთა ხსენება.

9 დიდი მდინარეებია ამ საზღვრებში: მტკვარი, არეზი და ესფიდრუდი (სეფიდრუდი), რომელიც არდაველსა და ზენგანის შუა დის. მტკვარი კარგი წყალია, მთიდან მოდის და განჯის საზღვრებისაკენ მიმდინარეობს, [შემდეგ] შამქორზე მიდის, ტფილისს შუაზე ჩაუვლის და ურწმუნოთა ქვეყანაში ჩადის. არეზი კარგი წყალია, ნახევარი ფარსანგის მანძილზე ჩაუდის ნეშევას ანუ ნახჯევანს და ამ ქალაქის შემდეგ არმენიას გაივლის. მდინარე არეზი არმენიის ზემო მხრიდან გამოდის, მუღანის საზღვრებში ის მდინარე მტკვარს უერთდება და ზღვაში ჩადის.

ამ ქვეყნების ტბების („ზღვების") ხსენება.

აზერბაიჯანში არის ტბა, რომელსაც არმენიის (ურმიის) ტბას (ზღვას) უწოდებენ. მლაშე წყალი აქვს და მასში არავითარი ცოცხალი არსება არ მოიპოვება. ამბობენ [მხოლოდ], იქ წყლის ძაღლი[23] იციან. ამ ტბის გარშემო სულ შენობები და თემებია. ამ ტბიდან მარაღამდე სამი ფარსანგია და ურმიამდე[24] ორი ფარსანგი. სიგრძე ამ ტბას ხმელეთით ხუთი დღის სავალი გზისა აქვს, ხოლო წყლით, თუ ხელსაყრელი ქარი || იქნა, ერთ ღამეში გაივლიან მას. 10
არმენიაში არის ერთი ტბა, არჯიშისა და ხლათის ახლოს. იქიდან მოდის თევზი „თერიხი", რომელიც ყველა ქვეყნებში გააქვთ. ხაზართა ზღვა აგრეთვე ამ საზღვრებშია და დარუბანდიც და ბაქოც ამ ზღვაზეა. ბაქოში ნავთი იპოვება. დიჯლას (ტიგროსის) მცირე ნაწილი არმენიის საზღვრებში მიმდინარეობს. ბარდავში საჯდომი ჯორები[25] იპოვება და ბევრი აბრეშუმი[26] მოჰყავთ. მისი საზღვრები [მოდის] დარუბანდიდან ტფილისამდე, [ტფილისიდან] იმ ადგილამდე, რომელსაც ნახჯევანს ეძახიან. [ამ] საზღვრებშია მდინარე არეზი. აზერბაიჯანის საზღვრები მოჰყავთ ტარემიდან ზენგანის საზღვრებამდე, დეინავერამდე, ჰულვანამდე, შაჰრზურამდე და დიჯლამდე და ის ისევ ბრუნდება არმენიისაკენ. ფასები ამ სარტყელში უსაზღვროდ დაბალია. არის ისეთი ადგილი, რომ ცხვარს ორ დირჰემად იძლევიან. არსებობს კიდევ ისეთი ადგილებიც, სადაც ორ მენ[27] თაფლს ერთ დირჰემად მოგცემენ. ამ სარტყელში დიდი ხელმწიფეებია, როგორც [მაგალ.] შარვან-შაჰები და სხვ. ეს ქვეყანა მთლიანად ცივ სარტყელს ეკუთვნის. არდაველის ახლოს არის ერთი დიდი მთა, რომლიდანაც მოაქვთ შეშა. არდაველური „სანგი" (საწონი) ათას ორმოცია, როგორც შირაზული დიდი „სანგი".[28] ამ საზღვრებში || ყველამ იცის არაბული და სპარსული ენა, ხოლო 11
დვინის ხალხმა სომხური იცის. ბარდავის სანახებში არის მთიანეთი, სადაც სხვადასხვა ენაა. ადერბაიჯანის, არანისა და არმენიის ფული[29] ოქროსა და ვერცხლის არის.

ამ ქვეყნების მანძილთა ხსენება.

ბარდავიდან ვარსანამდე[30] შვიდი ფარსანგია და იქიდან ბაილაკანამდე— შვიდი ფარსანგი; ბაილაკანიდან ბაილახანამდე[31] შვიდი ფარსანგი. ბაილახანიდან[32] ბერზენამდე შვიდი ფარსანგი, ხოლო ბერზენიდან არდაველამდე თხუთმეტი ფარსანგი. ბარდავიდან ბერზენამდე თერთმეტი ფარსანგია და იქიდან მდინარე მტკვარზე გადასვლით შამახიამდე თოთხმეტი ფარსანგი. შამახიიდან შარვანამდე სამი ფარსანგია და შარვანიდან ლაიჯანამდე ორი დღის გზაა. ლაიჯანიდან შეიმუნის ხიდამდე თორმეტი ფარსანგია, ხოლო შეიმუნის ხიდიდან დარუბანდამდე ოცი ფარსანგი. განჯიდან შამქორამდე ოთხი ფარსანგია და შამქორიდან ქალაქ ხუნანამდე[33] თერთმეტი ფარსანგი. ხუნანიდან ქერქენდემანის ციხემდე—ათი ფარსანგი || და იქიდან ტფილისამდე თორმეტი ფარ- 12
სანგი. მანძილები ბარდავსა და დვინს შორის: ბარდავიდან ყალყატურინამდე

თორმეტი ფარსანგია და იქიდან მირესამდე თორმეტი ფარსანგი, ხოლო იქი-
დან და მირესიდან დუმიშაჰდე თორმეტი ფარსანგი. დუმიშიდან გილგუნამდე,
სისთანამდე—თექვსმეტი ფარსანგი და იქიდან დვინამდე თექვსმეტი ფარსანგი,
და ყველა ეს მანძილი (გზები) სუმბატ აშოტის ძის სახელმწიფოსია... არდავე-
ლიდან მარაღამდე ორმოცდარვა ფარსანგია და მარაღიდან დირხაზაყანამდე
ორი (დღის) გადასავალია; იქიდან თაბრიზამდე ორი გადასავალი და თაბრიზი-
დან მარანდამდე, სალმასამდე, ხოიმდე შვიდი ფარსანგია. ხოიდან ბერქერამდე
ოცდაათი ფარსანგი და ბერქერიდან არჯიშამდე ორი დღის გზაა; არჯიშიდან
ხლათამდე სამი დღის სავალია, ხოლო ხლათიდან ბიდლისამდე—სამი დღისა.
ბიდლისიდან მიაფარეყინამდე სამი დღის [გზაა] და მიაფარეყინიდან ამიდამდე—
ოთხი ფარსანგი. მანძილი მარაღიდან დინავერამდე ოცდაათი ფარსანგია და
რეიდან სალმასამდე—თოთხმეტი ფარსანგი: ხოლო ხოიდან ნახჯევნამდე სამი
გადასავალია და ნახჯევნიდან დვინამდე სამი გადასავალი. მარაღიდან დინავე-
13 რამდე სამოცი ფარსანგი || იქნება.

ხაზართა ზღვის ხსენება*).

აღმოსავლეთით ხაზართა ზღვას ეკვრის ნაწილი დეილემისა, ტაბარისტა-
ნისა და გურგანისა, მათი საზღვრებით, და ნაწილი ხვარაზმის უდაბნოსი; და-
სავლეთით—არანი და მუღანი და სერირთა საზღვრები. ხაზართა ქვეყანა და
ნაწილი ღუზთა უდაბნოსი; ჩრდილოეთით—ღუზთა უდაბნო სიაჰ-ქუჰის მხარეზე,
სამხრეთით—გილი და დეილემანი. ეს ზღვა არც ერთ ზღვასთან არ არის შეერ-
თებული, და თუ ვინმეს უნდა გარს შემოუაროს ამ ზღვას. მას არავითარი
დაბრკოლება არ შეხვდება, გარდა რამდენიმე მდინარისა, რომელნიც ამ ზღვას
ერთვიან. ამ ზღვის წყალი მლაშეა. ფსკერი ამ ზღვისა შავია, წინააღმდეგ ყოლ-
ზუმის, ომანის და სპარსეთის ზღვებისა. სპარსეთის ზღვაში არის ისეთი
ადგილები, რომ ფსკერზე შეიძლება თეთრი ქვების დანახვა წყლის სიწმინდის
გამო. ხოლო ამ ზღვის წყალი შავია. ამ ზღვაში არაფერი იშოვება მსგავსი
მარგალიტისა და მარჯნისა ან მათი გვარისა. გარდა ვაჭრებისა, რომელნიც
14 ქალაქიდან ქალაქში დადიან [ამ ზღვით]. მას [არავისათვის] სარგებლობა || არ
აქვს. თევზს ბევრს იჭერენ. ამ ზღვაზე არ მოიპოვება დასახლებული კუნძული,
როგორც ეს არის სპარსეთისა და რუმის ზღვებზე, ხოლო ტყე და ტევრი კი
ბევრია. იქაურ ადგილებს შორის არის ერთი დიდი კუნძული ს ი ა ჰ - ქ უ ჰ ი,
რომელზედაც ბევრია წყარო და ხეები და მრავალნაირი ცხოველი ბუდობს.
არის კიდევ სხვა დიდი კუნძული ლეგზების საზღვარზე, რომელსაც წყალი აქვს.
ბარდავიდან იქ გემით მიჰყავთ საქონელი და გასასუქებლად უშვებენ [ამ კუნ-
ძულზე]. აბასგუნიდან რომ წავიდეს კაცი მარჯვნივ, ზღვიდან დაწყებული
ხაზარებამდის არც ქალაქია და არც სოფელი. ხოლო თუ ორმოცდაათ ფარ-
სანგს გაივლიან აბასგუნიდან, არის ერთი ადგილი, რომელსაც დეჰისტანს ეძა-
ხიან. იქ კარგი წყალია და იმ კუთხის ხალხი იქ იყრის თავს სათევზაოდ. ამბო-

*) იხ. ტაბ. II.

ბენ, სიაჰ-ქუჰის ახლოს თურქების ერთი ტომი ბინადრობსო. ისინი ამ ახლო
ხანებში მოსულან იქ. იმ დავის გამო, რომელიც მათსა და ღუზებს შორის ჩა-
მოვარდნილა, ისინი წამოსულან ღუზთა საზღვრებიდან და იმ ადგილს დასა-
ხლებულან. ხოლო ზღვიდან მარცხენა ხელის მხარეზე, აბასგუნის პირისპირ,
ხაზართა ქვეყნამდე (ტერიტორია) სულ გამზით არის დასახლებული. აბასგუ- 15
ნიდან მიდიან გურგანისა და ტაბარისტანის საზღვრებზე და არანში ჩადიან.
ხოლო როცა მუღანით გაივლიან, დარუბანდამდე, შარვანშაჰის ქვეყნამდე ორი
დღის გზაა. იქიდან სემენდერამდე ოთხი დღის სავალია და სემენდერიდან ითი-
ლამდე—შვიდი დღისა, სულ უდაბნო. სიაჰ-ქუჰის საზღვრებში ამ ზღვას აქვს
ერთი შესართავი; ქარმა თუ იქით ისროლა გემი, იგი შეიძლება დაიღუპოს.
ხ ა ზ ა რ ი ქვეყანაა ერთი ქალაქისა, რომელსაც ითილს ეძახიან. ითილი
მდინარეა, რომელიც ბოლღარიდან და რუსიდან ზღვაში ჩადის. ითილი (ქალა-
ქი) ორ ნაწევრად იყოფა: ერთი ნახევარი ამ მდინარის დასავლეთ მხარეზეა,
ხოლო მეორე ნახევარი მდინარის აღმოსავლეთ მხარეზე მდებარეობს. ითილის
ხელმწიფის სადგომი დასავლეთ მხარეზეა. ხელმწიფეს ეძახიან მალიქს (მეფეს)
და ბ ა ლ ს. [ქალაქის] ეს ნახევარი სიგრძით ერთი ფარსანგი იქნება: მას კე-
დელი აქვს. ცხოვრობენ უმთავრესად კარვებში. ამ ქვეყანაში მცირე რიცხვი
შენობებისა თიხისაგან არის აგებული, როგორც, მაგალ., ბაზრები და აბანოები.
ამ მხარეში ცხოვრობს დაახლოვებით ათი ათასი კაცი, რომელთაც სამი სა-
კრებულო მიზგითი აქვთ. ხელმწიფის კოშკი დაშორებითაა წყლის ნაპირიდან.
ერთი კოშკი აუშენებიათ გამომწვარ აგურიდან || და ამ კოშკის გარდა მთელს 16
იმ ქვეყანაში არ არსებობს გამომწვარ აგურისგან აგებული სხვა შენობა და არც
ნებას აძლევენ, რომ ვინმემ სხვამ აგოს ასეთი შენობა გამომწვარ აგურისგან.
ითილს ოთხი კარი აქვს; ერთი მათგანი მდინარის მხარეზეა, მეორე მის პირის-
პირ, ველისაკენ არის. მათი ხელმწიფე იუდაელია (ებრაელია) და ოთხი ათასი
მხლებელი ჰყავს მუსლიმანებისაგან, ხაზარებისაგან, ქრისტიანებისა და კერპთა-
თაყვანისმცემელთაგან შემდგარი; მხოლოდ მისი საკუთარი ხასი (ამალა) იუდა-
ელებისგან (ებრაელებისგან) შესდგება. როცა ვისიმე პატივისცემა აქვთ და
ამაღლებენ, მას თაყვანს სცემენ. ამ მეფეს თორმეტი ათასი კაცისაგან შემდგარი
ჯარი ჰყავს. როცა ერთი [მათგანი] (ჯარისკაცი) მოკვდება. მის ალაგას სხვას
აყენებენ. მტკიცე გასამრჯელო არ აქვთ. მხოლოდ ცოტა რამე თუ შეხვდები-
ბათ დიდი ხნის განმავლობაში, და ყველა მათგანი თავის საქმეზე მუშაობს.
როცა რაიმე საქმე ან ომი მოხდება, ისინი ყველანი თავს მოიყრიან. სახელმწი-
ფო სალაროს შემოსავალს გადასახადის ასაკრები ადგილები და ვაჭრებისაგან
[აღებული] ბაჟი იძლევა, რადგანაც უჭირავთ ზღვისა და მდინარეების ნავსად-
გურები და ბაჟს იღებენ. ამ ხელმწიფეს ჰყავს ცხრა მსაჯული: მუსლიმანები,
იუდაელები, ქრისტიანები და კერპთაყვანისმცემელნი. ყველაზე მცირერიცხოვა-
ნი ხალხი ამ ქვეყანაში | იუდაელებია, უმეტესობას მუსლიმანები შეადგენენ. 17
აგრეთვე ქრისტიანებიც, ხოლო მეფე და მისი ხასი იუდაელები არიან. თვითე-
ული ეროვნებისათვის დანიშნულია [ცალკე] მსაჯული. ბოროტმოქმედთა გასა-
მართლების დღეს მსაჯულები დასხდებიან მართლმსაჯულებისათვის. ერთი ეჯი-
ბია,[34] რომელიც მოახსენებს ხელმწიფეს ყველაფერს იმას, რასაც ისინი დაად-

გენენ, და მოაქვს მის მიერ ნაბრძანები პასუხი, რათა მისი ბრძანებისა და ფარ-
მანის თანახმად მოიქცნენ. ამ ქალაქს არ მოეპოვება დაბები, ხოლო ოცი ფარსანგის
სივრცეზე აქვს ყანები; ამუშავებენ (თესენ) მათ და მოსავალი გემით ან ურმით
მოაქვთ ქალაქში. ამ ხალხის უმთავრესი საჭმელი თევზი და ბრინჯია; თაფლი
და სანთელი რუსების ქვეყნიდან მოაქვთ იქ. ითილის მთელს აღმოსავლეთ ნა-
პირზე უმთავრესად მუსლიმანები და ვაჭრები არიან, ჯარი და მეფის მხლე-
ბელნი (მცველები) ამ მხარეზე იმყოფებიან. სოფლები მეფის „ხალისეს“ [35] შეად-
გენენ. ხაზართა ენა თურქების ენას ემსგავსება. არც ერთმა სხვა ხალხმა ეს
ენა არ იცის.
მდინარე ითილი (ვოლგა) ხარხირის საზღვრებიდან გამოდის და იქიდან
ქიმაქამდე აღწევს, ღუზთა ქვეყანაში შედის, ბოლღარებს გაივლის და ბურთა-
სების ქვეყანაში ზღვას ერთვის. ამბობენ, ამ მდინარიდან სამოცდაათზე მეტი
18 მდინარე || გამოდის და მიმდგომ სანახებს რწყავსო. ამ მდინარის მთავარი ტო-
ტი ხაზართა ზღვაში ჩადის ამბობენ, რომ ეს მდინარე იმ დროს, როცა ყველა
წყლები ერთად იკრიბება, მდინარე ჯეიჰუნზე მეტი იქნებაო და მისი სიდიდის
გამო, როცა ის ზღვას აღწევს, ორი დღის სავალ მანძილზე შეიძლება კაცმა
დაინახოს, როგორ მიდის ის ზღვაში და სძლევს ზღვის წყალს. ასე რომ ზამ-
თარს ზღვაში იყინება და ზღვის წყალში [აშკარად] ჩანს. ხაზარეთში არის
ერთი ქალაქი, რომელსაც სამანდს ეძახიან. ბევრი ბაღი და ხილნარი აქვს,
ასე რომ დარუბანდიდან სერირთა საზღვრამდე სულ ამ ქალაქის ბაღები და
ხილნარია. ამბობენ, ოთხი ათასი ბაღი აქვსო. უმთავრესად ვაზი. ამ ქალაქში
ბევრია მუსლიმანი, რომელთაც მიზგითი აქვთ. შენობებს ხისაგან აგებენ. მა-
თი ხელმწიფე იუდაელია და ხაზართა მეფეს ენათესავება. სერირის მე-
ფესთან მას ზავი აქვს. იქიდან სერირის საზღვრამდე ორი ფარსანგი იქნება.
სერირის ხალხი ქრისტიანებია. ამბობენ, ეს სერირი ირანის ერთი მეფეთაგანის
19 ოქროს ტახტი იყოო. როცა მათმა სახლმა დაჰკარგა მეფობა, || ერთი მისი
შვილთაგანი წამოვიდა აქ და თან წამოიღო ტახტი. ამბობენ, ის ბაჰრამ ჩუბი-
ნის შვილთაგანი იყოო. უკანასკნელ დრომდე მეფობა მათ სახლს უჭირავს. სე-
რირის ხალხი მუსლიმანებთან მშვიდობიანად ცხოვრობს. ხაზართა ქვეყანაში,
გარდა სემენდისა, სხვა შენებულობას მე არ ვიცნობ.
ბურთასები ხალხია ერთი, ხაზართა ახლოს, მდინარე ითილის ნაპირზე,
ხოლო ბურთასი იმ ქვეყნის სახელია. ხაზარი, რუსი და სერირი
ამგვარადვე სახელმწიფოს სახელებია. ხაზართა ხალხი ჰგავს თურქებს, მაგრამ
თურქები არ არიან. ისინი ორი ჯგუფია: შავკანიანი და შავთმიანი, გეგონებათ
ინდოელთა მოდგმის არიანო, და თეთრსახიანი. ესენი თავიანთ ბავშვებს ჰყიდიან.
იუდაელებს და ქრისტიანებს კი ნება არა აქვთ ერთმანეთი მონად იყოლიონ
და გაჰყიდონ. რაც ვაჭრებს ხაზარებისგან მოაქვთ, ის ხაზართა ქვეყანაში კი
არ წარმოიშობა, არამედ სხვა ადგილებიდან მოაქვთ ხაზარებში, როგორც, მა-
გალ., ბეწვეული, ტყვე, თაფლი, სანთელი და ამათი მსგავსი. ხაზარებს თავისი
ტანსაცმელი არ აქვთ, გურგანიდან, ტაბარისტანიდან, არმენიიდან, აზერბაიჯა-
ნიდან და რუმიდან მოაქვთ. მათ ხელმწიფეს ხაზართა ხაკანს ეძახიან. როცა
ხაზართა მეფეს ეს ხელმწიფე აჰყავს და ხაზართა ხაკანად სვამს, მას მოიყვანენ

და აბრეშუმის ნაჭერს წაუჭერენ ყელზე ისე, რომ სულთქმა შეეკვრება. || მაშინ 20
მას ამ მდგომარეობაში [მყოფს] შეეკითხებიან ეს სამეფო რამდენი ხნით გინ-
დაო. იტყვის, ამდენი წლითო. მას ათავისუფლებენ და ისიც ხაზართა
ხაკანი ხდება. თუ გავიდა იმდენი ხანი, რაც მან თქვა, და არ მოკვდა, მაშინ
მას ჰკლავენ. ხაკანი უნდა იყოს ხაკანთა სახლიდან. მას არავითარი ძალა-უფ-
ლება არ აქვს, გარდა იმისა, რომ მის წინაშე წარსდგებიან და თაყვანსა სცე-
მენ. მასთან არავის შეუძლია შესვლა, გარდა მეფისა და ზოგიერთ სხვა
[პირისა], რომელნიც მფლობელთა წრეს ეკუთვნიან. მეფე მასთან შედის
მხოლოდ მაშინ, როცა რაიმე დიდი საქმეა, და როდესაც მივა, თაყვანს სცემს
და მიწას ემთხვევა, სანამ ის არ უბრძანებს წარსდგეს ხაკანის წინაშე და დაე-
ლაპარაკოს მას. როცა რამე ისეთი დიდი საქმე მოხდება, რომ გაუჭირდებათ
მისი დაძლევა, მაშინ გამოიყვანენ ხაზართა ხაკანს და ყოველი თურქი, რომე-
ლიც კი მას დაინახავს, თავს ანებებს ბრძოლას და ზურგს იბრუნებს. როცა ხა-
ზართა ხაკანი მოკვდება, ვინც კი გაივლის მისი საფლავის ახლო, დაიქვეითებს
და თაყვანს სცემს მას, და სანამ საფლავი თვალთ არ მოეფარება—ცხენზე არ
შეჯდება. მისი იმდენად მორჩილი არიან, რომ, როცა მათგან რომელიმე დიდე-
ბული სიკვდილით დასასჯელია და მეფეს არ სურს [თვით] მოჰკლას ის, უბრძა-
ნებს მას, თავი მოიკალიო. ისიც წავა თავის სახლში და მოიკლავს თავს. ხაკა-
ნობა ერთს მათს ცნობილ ოჯახს ეკუთვნის, || რომელსაც ქონება არ აქვს, და 21
როცა ხაკანობის რიგი მოუვა ვინმე მათგანს, მას მაინც დასვამენ ხაკანად, თუ
გინდ ერთი დირჰემიც არ მოეპოვებოდეს. სანდო პირთაგან გამიგონია, რომ
ერთი ახალგაზრდა რაღაცას ჰყიდდა დუქანში და იქაური ხალხი ამბობდა,
ეხლანდელი ხაკანი რომ მოკვდება, ხაკანობა ამას შეხვდებაო. მაგრამ ეს ახალ-
გაზრდა მუსლიმანი იყო, ხაკანობას კი იუდაელების გარდა არავის აძლევენ.
ხაკანს აქვს ტახტი და ჩარდახი (გუმბათიანი კარავი) ოქროსი, სხვას არავის
აქვს ასეთი. ხაკანის კოშკი ყველა შენობაზე უმაღლესია; მეფის უფრო მცირეა,
ვიდრე ხაკანისა.
ბურთასების ქვეყანაში სახლებს ხისაგან აშენებენ. ისინი ორი ჯგუფია:
ერთი ჯგუფი ღუზთა ქვეყნის ბოლოში ცხოვრობს, ბოლღარების ახლოს:
დაახლოვებით ორი ათასი კაცი ტყეებშია და ბოლღარებს ემორჩილება. მეორე
ნახევარიც თურქების პირდაპირ ცხოვრობს. ბოლღარების და თურქების ენა—
ორივე ერთი და იგივე [ენაა]. ბოლღარი ქალაქის სახელია. მუსლიმანები
არიან და საკრებულო მიზგითი აქვთ. სუვარი ქალაქია ბოლღარის ახლოს,
აგრეთვე მუსლიმანური, აქვთ საკრებულო მიზგითი. ორივე ამ ქალაქში ათი
ათასი კაცი იქნება. ღამის ხანგრძლივობა ზაფხულში იქ ისეთი [მცირეა], რომ
კაცი ერთ ფარსანგზე მეტის გავლას ვერ შესძლებს, თუ არა ნაკლებს; ხოლო 22
ზამთარში დღე ზაფხულის ღამესავით მოკლეა. რუსი სამი ჯგუფია. ერთი
ჯგუფი ბოლღარის ახლოს დგას და მათი ხელმწიფე იმყოფება ქალაქში, რო-
მელსაც ქუიაბე-ს ეძახიან. ის ბოლღარზე უფრო დიდია. მეორე ჯგუფს
უსანი-ს ეძახიან და მათი ხელმწიფე დგას ადგილზე, რომელსაც არსას უწ-
ოდებენ. მათ ზემოთ არის ერთი ტომი, მათ ჯელაბებს ეძახიან. ვაჭრები
იქამდე არ აღწევენ, ბოლღარებს იქით ისინი აღარ მიდიან. არსაში არავინ მი-

დის იმის გამო, რომ ყოველ უცხოელს, რომელიც იქ მივა, ისინი ჰკლავენ. თუ ვინმე მივიდა იქ სავაჭროდ, წყალზე ვაჭრობს, ხმელეთზე მას არ უშვებენ. არსაში მოიპოვება შავი სამური (სიასამური), ტყვია და კალა. რუსები მკვდრებს სწვავენ და ჩვეულებად აქვთ ერთმანეთისთვის წვერის გაპარსვა. დიდი ბოლღარი ახლოს არის რუმთან; ისინი მრავალრიცხოვანი ხალხია და დიდი ძალა აქვთ. შიდა-ბოლღარები ქრისტიანები არიან.

ჰოდუდ ალ-ალემი

გეოგრაფიული შრომა „ქითაბე ჰოდუდ ალ-ალემ"—„წიგნი ქვეყნის საზღვრებისა", მეცნიერებაში აგრეთვე „ტუმანსკის ხელნაწერად" ცნობილი, აღმოჩენილია ბუხარაში 1892 წელს. ავტორი ცნობილი არ არის, ხოლო წიგნის დაწერის დროის შესახებ თვით ხელნაწერშია დაცული ცნობა, რომ მისი შედგენა ავტორს დაუწყია ჰიჯრის 372 წელს (982 983 წ. ჩვ. წელთაღრიცხვით) გუზგანის ანუ ჯუზჯანის (ეხლანდელი ავღანისტანის ნაწილი) ერთ-ერთი მთავრისათვის. წიგნი შეიცავს მაშინდელი გეოგრაფიული მეცნიერებისათვის ცნობილი ქვეყნიერების დასახლებული ნაწილის აღწერას. ყოველი ცალკე ქვეყნის შესახებ უცნობი ავტორი ჯერ იძლევა ცნობას მისი საზღვრების შესახებ, შემდეგ გადადის თვით ქვეყნის აღწერაზე და შედარებით დაწვრილებით ჩამოთვლის იმ ნაწარმს და საქონელს, რომელიც ამ ქვეყანაში მოდის და აქედან გააქვთ სხვაგან. სამწუხაროდ, ზოგიერთი ამ საქონლის სახელის მნიშვნელობის გამორკვევა ჯერ-ჯერობით მეტად ძნელი ხდება, რადგანაც არსებული ლექსიკონების უმრავლესობა ამ სახელებს არ იცნობს და არც თვით ეს მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი ყოფილა უკანასკნელ ხანამდე სათანადოდ შესწავლილი.

ტფილისი მოხსენებულია ადარბადაგანის (აზერბაიჯანის), არმენიისა და არანის აღწერაში. მის შესახებ ანონიმი მაინც და მაინც ახალს არაფერს გვაწვდის სხვა გეოგრაფებთან, მაგალითად, ისტახრისთან, შედარებით (ისტახრის ცნობებით მას ცხადად უსარგებლნია). საყურადღებოა მხოლოდ, რომ შავ ზღვას ის „ქართველთა ზღვას" უწოდებს, თუმცა, როგორც აკად. ვ. ბარტოლდიც აღნიშნავს, თვით ქართველებს (ან საქართველოს) არსად ახსენებს. „ჰოდუდ ალ-ალემი" გამოსცა ფოტოტიპიურად მეცნიერებათა საკავშირო აკადემიამ აკად. ბარტოლდის ვრცელი შესავალით, რომელშიც, გარდა ანონიმის შრომის დახასიათებისა, აგრეთვე ძველი მუსლიმანური გეოგრაფების ურთი-ერთ დამოკიდებულების საკითხიც არის გაშუქებული (Худуд ал-ʻалем. Рукопись Туманского, с введением и указателем В. Бартольда. Ленинград, 1930. Изд. Ак. Наук СССР). ჩვენ მიერ ჩამოთვლილ ტექსტში ყველგან დაცული გვაქვს დედნის მართლწერა.

ა. გ. ტუმანსკიმ, რომელმაც პირველად გამოაქვეყნა ცნობები ამ ძეგლის შესახებ (Ново-открытый персидский географ X столетия и извести

его о славянах и руссах: Зап. Вост. отд. имп. Рус. Археол. Об-ства, т. X, вып. I—IV, გვ. 121—137), თავის აღწერილობას დაურთო მცირე ნაწყვეტის თარგმანი სლავებისა და რუსების შესახებ; აკად. ბ ა რ ტ ო ლ დ-მ ა თავის ზემოთ აღნიშნულ გამოცემაში დაუმატა მას კიდევ რამდენიმე „სიტყვის“ თარგმანი ბოლღარების, ხაზარების და სხ. შესახებ. ამ ჟამად Gibb-ის სერიაში გამოდის მინორსკის სრული თარგმანი შენიშვნებით.

ჰუდუდ ალ-ალემი—„ქვეყნის საზღვრები აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე“.

სიტყვა ზღვათა და უბეების შესახებ.

...და კიდევ რუმთა ზღვაა... ამ ზღვას ორი უბე აქვს. 23

ერთი ის არის, რომელიც ოკეანეს ზღვას უერთდება. მეორე უბე ... სპოროს შუაზე რუმს, კონსტანტინოპოლის ნაპირზე ჩაივლის და ქართველთა ზღვას აღწევს.

... და კიდევ ქართველთა ზღვა არის. მას პონტოს ზღვას უძახიან. მის აღმოსავლეთ საზღვარზე ალანთა ქვეყანაა, ჩრდილოეთით პაჭანიკები, ხაზარების, მირვათების, შიდა-ბოლღარებისა და სეკლაბების (სლავების) ქვეყნებია; დასავლეთ საზღვარზე ბარჯანების ქვეყანაა და იმის სამხრეთ საზღვარზე რუმის სანახებია. ამ ზღვის სიგრძე ათას სამასი მილია[1], ხოლო სიგანე—სამას ოთხ-მოცდაათი მილი. 24

სიტყვა მთებისა და მათში [არსებული] მადნების შესახებ.

... (მთები) სერირის [ქვეყნის] დასაწყისიდან ხვეულად მოდის და ალანთა ქვეყნის დასაწყისს აღწევს. მას კაბკის მთას უძახიან. ამის შემდეგ, [illegible], საიდაც [მთები] თავდება, ყველგან იმ ქალაქის და ქვეყნის სახელი ჰქვია, რომელიც მას ესაზღვრება, როგორც ეს სხვა მთებს [ემართება]. ხოლო თვით [ეს მთა] შამის ბოლოსა და არმენიის დასაწყისს აღწევს. მისგან ვამოდის ერთი დიდი შტო, რომელიც რუმს ჩადის. მას კიდევ შტოები აქვს და მათში ოქროს მადანი მოეპოვება. სერირთა საზღვრის დასაწყისიდან მოდის ერთი შტო, რომელიც ქართველთა ზღვას ეკვრის.

სიტყვა მდინარეთა შესახებ.

... კიდევ მდინარეა, რომელიც ეფლაზონის (პაფლაგონიის) ქვეყნიდან მოდის რუმიდან და ქართველთა ზღვას ერთვის.

სიტყვა ადარბადაგანის, არმენიის და არანის სანახებისა და მათი ქალაქების შესახებ.

სამი ერთმანეთის მოსაზღვრე ქვეყანაა, მათი მიჯნამდება ერთმანეთს შორის. ამ სანახების აღმოსავლეთით გილანის საზღვრებია, სამხრეთით—ერაყი და 25

ჯეზირე; დასავლეთით მათ რუმის საზღვრები და სერირი აქვთ, ხოლო ჩრდი-
ლოეთით—სერირი და ღუზები. ეს ადგილები უმდიდრესი სანახებია ისლამის
[ქვეყნებში], ისინი გაშენებული და მრავალი სიმდიდრით [დაჯილდოვებულია].
აქვთ მიმდინარე წყლები, მშვენიერი ხილი, სავაჭრო ადგილები, [ჰყავთ] მამაცი
მეომრები, ბევრია იქ ყოველ კუთხიდან ჩამოსული უცხოელებიც. იქ იპოვება
ყირმიზის საღებავი, შარვლები და შალის სამოსი, ნაწლავები, ბამბა, თევზი,
თაფლი, ცვილი. იქ მოიპოვება ტყვეები (მონები), [წარმოშობით] რუმიელები,
სომხები, პაჭანიკები, ხაზარები და სეკლაბები (სლავები).

არდაველი ადარბადაგანის მთავარი ცენტრია[37]. ის დიდი ქალაქია და
მის გარშემო პატნეზია [შემოვლებული]. მაგარი და მეტად მდიდარი ქალაქი
იყო. ამ ჟამად უფრო ნაკლებია. არდაველი ადარბადაგანის მეფეების სამყოფელი
ადგილია და იქიდან მოდის ზედატანსაცმელი და ფერადი ქსოვილები. ასანა,
სერავი, მიანე, ხუნე, ჯაბრუყანი—მცირე ქალაქებია, მდიდარი, გა-
შენებული, მრავალმოსახლეობიანი. თაბრიზი მცირე ქალაქია, მდიდარი და
გაშენებული. გარშემო შემოვლებული აქვს პატნეზი, რომელიც ალა ბენ აჰმედის
26 მიერ არის გაკეთებული. ‖ მარაღა დიდი, აყვავებული და მდიდარი ქალა-
ქია. აქვს მიმდინარე წყალი და გაფურჩქვნილი ბაღები. ერთი მაგარი პატნეზი
ჰქონდა, აბუ საჯის შვილმა დაანგრია[38]. ბერზენდი აყვავებული და გაშენებუ-
ლი ქალაქია. აქვს მიმდინარე წყალი და მრავალი ნათესები და ყანები. იქიდან
მოდის აბრეშუმის ზოლიანი სამოსი. მუღანი ქალაქია, ხოლო მისი სანახები
ზღვის ნაპირას მდებარეობს. მუღანის სანახებში ორი სხვა მცირე ქალაქიც
არის, რომლებსაც აგრეთვე მუღანს უწოდებენ. იქიდან მოდის ნაწლავები,
საჭმელი მარცვლეული და მრავალი ტომრები და საფენები. დეზნანი
მდიდარი ქალაქია და იქიდან მოაქვთ შალის საფენები და სალოცავი
(ლოცვისათვის სახმარი) ნოხები. ყველა ეს ქალაქი, რომელიც ჩვენ მოვიხსე-
ნიეთ, ადარბადაგანისა არის. დვინი დიდი ქალაქია. ის არმენიის ცენტრია
და მას გარშემო პატნეზი აქვს შემოვლებული. მასში ბევრია ქრისტიანი. მრა-
ვალი სიმდიდრის მქონე ქალაქია, მოსახლეობა და ვაჭრები იქ ბევრია, აქვს
მრავალი სანახები, რომლებიც ჯეზირეს საზღვრებამდეა გაჭიმული და რუმს
27 ეკვრის. ‖ იქ იპოვება ერთგვარი ჭია, რომლიდანაც ყირმიზის საღებავს აკეთე-
ბენ. დვინიდან მოდის მშვენიერი ხვანჯრები. დახორყანი პატარა აყვავებუ-
ლი ქალაქია ურმიის ტბის („ცისფერი ზღვის“) ახლოს მდებარე და მიმდინარე
წყალი აქვს. ურმია დიდი ქალაქია, გაშენებული და მრავალი სიმდიდრის მქონე.
სალმასი მცირე ქალაქია, აყვავებული და გაშენებული. იქიდან მშვენიერი ხვანჯ-
რები მოდის. ხოი, ბერქერი, არჯიჯი (არჭეში), ხლათი, ნახჯევა-
ნი, ბითლისი—ყველა ეს დიდი და მცირე ქალაქებია, აყვავებული და მდი-
დარი; ხალხი ბევრი ჰყავთ და ყოველი სიმდიდრეც ბევრი აქვთ. ამ ქალაქები-
დან მრავლად მოდის უბეწვო ნოხი, კარგი ხვანჯრები და სხვ. მელაზგერ-
დი ქალაქია რუმის სანაპიროზე; ხალხი მეომარი ჰყავს, ადგილი მდიდარია.
ყალიყალა ქალაქია, აქვს მაგარი ციხე-სიმაგრე, რომელშიაც მუდამ დგანან
მორიგეობით მეომრები [ამ ქვეყნის] ყოველ კუთხიდან. ვაჭრები იქ ბევრია. მია-
ფარეყინი—ქალაქია სიმაგრეში. [ის მდებარეობს] საზღვარზე არმენიის, ჯაზი-

რასა და რუმის შუა. მარანდი მცირე, [მაგრამ] გაშენებული ქალაქია, მდი-
დარი. ხალხი ბევრი ჰყავს. იქიდან მოდის შალის სხვადასხვანაირი სამოსი. ‖ 28
მეიმედი—ქვეყანაა განთქმული და გაშენებული, მრავალი სიმდიდრისა და
მოსახლეობის მქონე. აჰარი—მეიმედის ცენტრია (მთავარი ქალაქია) და იმ
ჯალანდი ბენ ქერქერის, რომელიც „ძალით იტაცებდა გემებს“, შთამომავ-
ლის რავადის შვილის სამეფოს ეკუთვნის[39]. სენგანი—ქალაქია და დიდი
სანახები აქვს. ის სუმბატის სამეფოა. ყველა ეს ქალაქი, რომლებიც ჩვენ
ვახსენეთ, არმენიისა არის. ყაბანი—ქალაქია და იქიდან ბევრი კარგი ბამბა
მოდის. ბარდავი—დიდი ქალაქია, მრავალი სიმდიდრის მქონე. ის არმენიის
ცენტრია და ამ სანახების მეფის სამყოფელ ადგილს წარმოადგენს. მას აყვავე-
ბული მიდამოები აქვს, მრავალი ნათესებით, ყანებით, ხილით. იქ ბევრია უფა-
სო თუთის ხე[40]. ამ ქალაქიდან ბევრი აბრეშუმი მოდის; აქ იციან მშვენიერი
ჯორები, ენდრო, წაბლი და ნიგოზი. ბაილაკანი—ქალაქია მცირე და მდი-
დარი. იქ მოიპოვება ბევრი ტყე, საფენი, ქალთა მოსასხამები, ტკბილეულობა.
ბაჟგაჰი მცირე ქალაქია მდინარე არეზის პირად, იქიდან თევზი მოდის.
განჯა, შამქორი—ორი ქალაქია მრავალნათესებიან-ყანებიანი, გაშენებული
და მდიდარი. იქიდან შალის ყოველნაირი სამოსი მოდის. ‖ ხუნანი მდინარე 29
მტკვრის ნაპირზე მდებარე ქვეყანაა არმენიისა და არანის საზღვართ შორის. ვერ-
დუყიე—ქალაქია ხუნანში; მცირეა და ხალხიც ცოტა ჰყავს. ყალა დიდი
ციხეა, მისავალით, არმენიის და არანის შუა საზღვარზე.

ტფილისი დიდი, აყვავებული ქალაქია, მაგარი, გაშენებული და მრა-
ვალი სიმდიდრის მქონე. ორი პატნეზი აქვს და (ისლამობის) საზღვარს წარ-
მოადგენს ურწმუნოთა მხრისაკენ. მას მდინარე მტკვარი შუაზე ჩაუდის. აქვს
წყარო, ძალზე ცხელი, რომელზედაც აბანოები აქვთ აგებული და [რომელიც]
მუდამ ცხელია უცვლელოდ. შაქი არმენიის ქვეყანაა, გაშენებული და მდიდარი.
მისი სიგრძე სამოცდაათ ფარსანგს შეადგენს. იქ მუსლიმანებიც არიან და ურწ-
მუნოებიც. მობარექი დიდი სოფელია ბარდავთან, რუსების ბანაკი იყო იქ
იმ ხანებში, როცა ისინი მოვიდნენ და ბარდავი აიღეს[41]. ეს მობარექი შაქის
საზღვრის დასაწყისშია. ნასუყ ალ-ჯებელ—ქალაქია ბარდავის ახლოს. სუმ-
ბატამანი—ქალაქია შაქის საზღვრის ბოლოში. მას ერთი მაგარი ციხე აქვს.
ორივე ეს ქალაქი [კარგადაა] გაშენებული. სანარი ქვეყანაა, მისი სიგრძე ოცი
ფარსანგია, ‖ შაქსა და ტფილისს შუაა, და [მცხოვრებნი] ყველანი ურწმუნოები 30
არიან. ყაბალა ქალაქია შაქსა, ბარდავსა და შარვანს შუა, გაშენებული და
მდიდარი. იქიდან ბევრი ყირმიზის საღებავი მოდის. ბერდიჯი მცირე ქა-
ლაქია, მდიდარი და გაშენებული. შარვანი, ხარსანი, ლიზანი—სამი
ქვეყანაა და ხელმწიფე მათი ერთია. ამ ხელმწიფეს შარვან-შაჰს, ხარსან-შაჰს
და ლიზან-შაჰს ეძახიან. ის თავისი ლაშქრით შამახიიდან ერთი ფარსანგის და-
შორებით ცხოვრობს. ქურდევანის საზღვრებისაკენ ერთი მთაა მაღალი, რომ-
ლის ფართო და დავაკებული თავის მოედანი ოთხ კვადრატულ ფარსანგს უდ-
რის. არც ერთი მხრიდან მას გზა არ უძევბა, მხოლოდ ერთ მხარეზე ვაუკე-
თებიათ მეტად ძნელი გზა. მასზე ოთხი სოფელია და მეფის მთელი საღარო
და სიმდიდრე იქ არის; იქვე არიან მისი მსახურები, მამაკაცები და ქალები,

ყველანი იქ [ხნავენ და] სთესენ და იქ სჭამენ [და სვამენ]. ამ ციხეს ნიალს ეძახიან. მის ახლოს, ერთი ფარსანგის მანძილზე, სხვა ციხეა, ძალიან მაგარი, და მათი საპყრობილე იქ არის. ხარსანი—ქვეყანაა შარვანთან, || თბქ-ს მთის
31 მეზობლად. იქიდან შალის სამოსი მოდის. მთელი ის ნაირ-ნაირი ფართო ნოხები[42], რომელიც მთელ ქვეყანაზე მოიპოვება, ამ სამი კუთხიდან მოდის. ქურდევანი მცირე ქალაქია, გაშენებული და მდიდარი. შაბურანი შარვანის მთავარი ქალაქია. ის ზღვის ახლოს მდებარეობს და ძალიან მდიდარი ადგილია. სალესი ქვა იქიდან გააქვთ ყველა ქვეყნებში. ხაზართა დარუბანდი ქალაქია ზღვის პირას. ამ ქალაქსა და ზღვას შუა გაჭიმულია უზარმაზარი ჯაჭვი, ასე რომ არც ერთ გემს არ შეუძლია შემოსვლა, თუ არა (დარუბანდელების) ნებართვით. ეს ჯაჭვი მიმაგრებულია მტკიცე კედლებზე, რომლებიც ქვითა და ტყვიით არის აგებული. ამ ქალაქიდან მოდის სელის სამოსი და ზაფრანა; იქ იშოვება ტყვეები ურწმუნოთა ყოველგვარი მოდგმისა, რომლებიც მისი მოსაზღვრე არიან. ბაქო მცირე ქალაქია ზღვის კიდეზე, მთის ახლოს, და მთელი ის ნავთი, რომელსაც დილმანის ქვეყანაში ხმარობენ, იქიდან მიაქვთ.

სიტყვა სეკლაბის (სლავების) ქვეყნის შესახებ.

ამ ქვეყნის აღმოსავლეთით მდებარეობს შიდა-ბოლღარი და ნაწილი რუსთა [ქვეყნისა]; მის სამხრეთით ქართველთა ზღვის და რუმის ნაწილია. და-
32 სავლეთით და ჩრდილოეთით || სულ ჩრდილოეთის ვერანი უდაბნოებია. ეს ქვეყანა დიდია და ძალიან ბევრი ტყე აქვს.

სიტყვა შიდა-ბოლღარის [ქვეყნის] შესახებ

მის აღმოსავლეთით მერვათის [ქვეყანაა], სამხრეთით—ქართველთა ზღვა, დასავლეთით—სეკლაბია და ჩრდილოეთით—რუსის მთა.

K 2.691
4

ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინი.

მონღოლთა ეპოქის ირანელ ისტორიკოსებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინის, რომელსაც ეკუთვნის ორი დიდი გეოგრაფიული და საისტორიო შრომა—„ნოზჰათ ალ-ყოლუბ“—„გულთა სიამე“ და „თარიხე გოზიდე“—„რჩეული ისტორია“ *.

ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინი ეკუთვნოდა ყაზვინის ერთ ძველს გვარს, რომლიდანაც რამდენიმე პირი ყოფილა სახელმწიფო ფინანსთა კონტროლიორად (მუსთოუფი). აქედან არის წარმოშობილი მისი სახელწოდებაც—მუსთოუფი. თვით ჰამდალლაჰსაც ერთ დროს სჭერია ეს თანამდებობა და ყაზვინის, აბჰარის და ზენჯანის ფინანსების გამგედ ყოფილა. დაბადებული უნდა იყოს ჰამდალლაჰი ჰიჯრის 680 (1281/82 ჩვ. წელთაღრიცხ.) წელს, ხოლო მისი გარდაცვალების წელი ცნობილი არ არის.

„ნოზჰათ ალ-ყოლუბი“ შეიცავს შესავალსა და სამ ნაწილს. შესავალსა და პირველ ორ ნაწილში წარმოდგენილია ცნობები ბუნების მეტყველებიდან (ცის მნათობები, ბუნების სამი სამყარო) და ანთროპოლოგიიდან, ხოლო მესამე ნაწილი საკუთრივ გეოგრაფიულ ნაშრომს წარმოადგენს. აქ მოცემულია უმთავრესად ირანის ქვეყნებისა და ქალაქების აღწერა. საქართველოს შესახებ ავტორი ლაპარაკობს ცალკე თავში, რომელსაც ის „საქართველოს (გურჯისტანის) და აფხაზ[ეთი]ს აღწერას“ ეძახის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჰამდალლაჰის ცნობები იმ შემოსავლის შესახებ, რომელიც ამათუიმ ქვეყნის სახელმწიფო ხაზინას ჰქონდა. როგორც სახელმწიფო ფინანსების კონტროლიორს, ჰამდალლაჰ ყაზვინის შეძლება ჰქონდა ესარგებლნა საგადასახადო დავთრების ჩანაწერებით და ძვირფასი ცნობებით გაემდიდრებინა თავისი ნაშრომი.

„ნოზჰათ ალ-ყოლუბ“ სრულად გამოცემულია ლითოგრაფიული წესით ბომბეიში 1894 წ. მესამე, გეოგრაფიულ. ნაწილიდან ნაწყვეტები ირანის, აღერბაიჯანის და საქართველოს შესახებ დაბეჭდილი აქვს აკად. დორნს, გერმანულ თარგმანთან ერთად, თავის Geographica Caucasica-ში (Memoires d. l'Academie Imper., T. VII, 1847).

Le Strenge-მა გამოსცა სრულად Gibb-ის სერიაში ეს მესამე ნაწილი და ცალკე ტომად დაურთო ინგლისური თარგმანი.

---

*) მასვე ეკუთვნის აგრეთვე „ზაფარ-ნამე“, რომელშიაც ლექსად არის აღწერილი მოჰამედის ცხოვრება, ხალიფებისა და ირანის დინასტიების ისტორია.

თავისი გამოცემისათვის Le Strenge-ს უსარგებლნია ბომბეის ლითოგრაფიული გამოცემით და ბრიტანეთის მუზეუმის, კემბრიჯის, ოქსფორდის, პარიზის და ვენის ხელნაწერებით.

სამწუხაროდ, ვარიანტების ჩვენების დროს გამომცემელი არ აღნიშნავს, თუ რომელი ხელნაწერი იძლევა ამათუიმ ვარიანტს. საქართველოს შესახები ცნობები ჩვენ Le Strenge-ის ამ გამოცემიდან გვაქვს ამოღებული.

ჰამდალლაჰ მუსთოუფი ყაზვინის მეორე შრომა „თ ა რ ი ხ ე გ ო ზ ი დ ე“ მოგვითხრობს მუსლიმანური მსოფლიოს ისტორიას ქვეყნის გაჩენიდან 1330 წლამდე. ცნობები ამ თავის ისტორიისათვის ავტორს უმთავრესად რაშიდ ად-დინის ცნობილ „ჯამი ალ-თავარიხიდან“—„მატიანეთა კრებულიდან“ აქვს აღებული.

„თარიხე გოზიდე“ პარალელური ფრანგული თარგმანით გამოსცა Jules Gantin-მა (Târikhe Gozidé par Hamd ollah Mostooufi Qasvînî, ...tome premier. Paris 1903), რომლიდანაც ამოვიღეთ ჩვენ ცნობები საქართველოს შესახებ. 1910 წ. ე. ბროუნმა Gibb-ის სერიაში ფაქსიმილედ გამოსცა 857 (1453) წლით დათარიღებული სრული ხელნაწერი „რჩეული ისტორიისა“ და 1913 წ. დაბეჭდა იმავე სერიაში შემოკლებული ინგლისური თარგმანი და საძიებლები (The Tarikh-i-Gusida or „Select History“ of Hamdu'llàh Mustawfi-i-Qazwini, Vol. I (ტექსტი), 1910. Part II (თარგმანი და საძიებლები) 1913. London.

ნუზჰათ ალ-ყულუბი—„გულთა სიამე“

თხრობა მესამე

|| ... და მაქადან ირანის უმთავრეს ქალაქებამდე, როგორც ქვემოთ გზე-
ბის აღწერილობაში იქნება მოყვანილი, შემდეგი მანძილებია: მაქადან სულ- 32
თანიემდე, რომელიც ირანის მეფეთა საჯდომი ქალაქია, ბაღდადის გზით სამას
ოთხმოცდა რვა ფარსანგი არის. თაბრიზიც მეფეთა საჯდომი ქალაქია. [თაბრი-
ზამდე] ბაღდადის გზით სამასოთხმოცი ფარსანგია. ბაღდადიც სატახტო ქალა-
ქია; ამაღლებული ნაჯაფის გზით ამ ქალაქამდე ორას სამოცი ფარსანგია. მაქა-
დან რეიმდე სამას ხუთი ფარსანგია, || არდაველამდე ორას ოცდა ოთხი ფარ-
სანგი, ჰამადანამდე ორას სამოცდა ჩვიდმეტი ფარსანგი, ქაშანამდე ორას სამო- 33
ცი ფარსანგი, ისპაჰანამდე სამას ერთი ფარსანგი, სემნანამდე ორასოცდაცხრა,
შუსთერამდე ორას ოცდა თერთმეტი ფარსანგი, ყაიინამდე ორას ოთხმოცი
ფარსანგი, ნიშაბურამდე ოთხას ოცი ფარსანგი, ტფილისამდე ხუთას ერთი
ფარსანგი, ბალხამდე ხუთას შვიდი ფარსანგი, მერვამდე ოთხას ოთხმოცდა ერ-
თი ფარსანგი, ყუმამდე ორას ოთხმოცდა თოთხმეტი ფარსანგი, საბზევარამდე
ოთხას ორი ფარსანგი, იეზდამდე სამას ოთხი ფარსანგი, ყაზვინამდე სამას სა-
მოცდაათი ფარსანგი, შირაზამდე ორას შვიდი ფარსანგი, ნეირიზამდე სამას
ცხრა ფარსანგი, ჰორმუზამდე ორას ოთხი ფარსანგი. მაქადან ოთხივე მიმარ-
თულებით ქვეყნის დასახლებული მეოთხედის სხვა ადგილებამდე, რომლებიც
ირანის გარეშე მდებარეობენ, მანძილები იანგარიშება (ამ ადგილთა) ასტრონო-
მიული სიგრძედის და სიგანედის მიხედვით, როგორც ეს აღნიშნულია (ასტრო-
ნომიული) ტაბულების უმრავლესობაში. ვინაიდან ეს გამოანგარიშება თეორე-
ტული იყო, ჩვენ ყოველ გრადუსში ჩავთვალეთ 25 ფარსანგი, თანახმად პტო-
ლომეუსის სიტყვისა, რათა დაახლოვებით [მაინც] გამოგვერკვია განსხვავება
იმ გზების მანძილთა შორის, რომლებიც სხვა და სხვა სიგანედს სჭრიან. ||
... ორივე ერაყში, ადერბაიჯანსა, არანსა და მუღანში, შარვანში, გუშ- 34
თასფში, საქართველოს ნაწილსა და მთელს ქურდისტანში, ყუმისსა, მა-
ზანდარანსა, თაბარისტანსა, გილანსა და ხორასნის ნაწილში თუ კაცი პირს
ყიბლისაკენ[43] მიიბრუნებს, ჩრდილო პოლუსი მის მარჯვენა ყურის უკან იქნე-
ბა და კაპელას ვარსკვლავის ამოსავალი გზა—კეფას უკან, ღრიანკალის გულის
ჩასავალი (გზა) ყიბლას წინ (პირდაპირ) მოექცევა და გაზაფხულის და შემოდ-
გომის ბუნიობას დასავლეთი თითქმის სწორედ მარჯვენა მხარეს იქნება, აღმო-
სავლეთი კი—მარცხენა მხარეს. არმენია, რუმი, დიარბექრი, რებიე, ნაწილი
საქართველოსი, როგორც უკვე აღწერილი იყო, უფრო აღმოსავლეთის მხარეს
უნდა იქნეს გადახრილი.

კარი მეხამე, ადერბაიჯანის ქალაქების ხსენება.

ის (ადერბაიჯანი) ცხრა „თუმანისა“ [44] და ოცდაშვიდ ნაწილისაგან შესდგე-
ბა. მის ქალაქთა უმრავლესობას ჰავა უფრო ცივი აქვს, [ვიდრე ცხელი] (სიტყვა-
სიტყვით: მიდრეკილება აქვს, გადახრილია სიცივისაკენ). მცირედ ნაწილს კი —
ზომიერი. მისი საზღვრები ირანის ერაყს, მუღანს, საქართველოს, არმენიას,
ქურდისტანს ეკვრის. სიგრძე მისი ბაქოდან ხალხალამდე ოთხმოცდა თხუთმეტი
ფარსანგია და სიგანე—ბაჯარვანიდან სინას მთამდე—ორმოცდა თხუთმეტი ფარ-
35 სანგი. ადერბაიჯანის სატახტო ქალაქი წინათ მ ა რ ა ღ ა იყო, ახლა თაბრიზია, ||
ირანის უმშვენიერესი და უდიდესი ქალაქი. ადერბაიჯანის სახელმწიფო შემოსავა-
ლი სელჯუკთა და ათაბაგების ხანაში [45] დაახლოვებით ორ ათას თუმანს [46] უდ-
რიდა.

... თაბრიზის „თუმანში“ სამი ქალაქია, ნახჯევანის „თუმანში“ — ხუთი ქალაქი.
ნ ა ხ ჯ ე ვ ა ნ ი მეოთხე (კლიმატურ) სარტყელს ეკუთვნის. მისი სიგრძედი ბედნიერ
კუნძულებიდან [47] 80, 55-ს უდრის, სიგანედი ეკვატორიდან—33, 40. ის ბაჰრამ
ჩუბინმა ააშენა. მშვენიერი ქალაქია, მას „ქვეყნის სურათს“ ეძახიან. მის შენო-
ბათა უმრავლესობა აგურის არის. იქ მოდის პურეული, ბამბა, ყურძენი; ხილი
ცოტა აქვს. ხალხი თეთრსახიანია, შაფის [48] რწმენისა. ქვეყანა დიდი უჭირავს,
რამდენიმე მაგარი ციხით, როგორც, მაგალ. ალანჯიყი, სურმარი, თალმარი და
ფელანი. მისი სახელმწიფო გადასახადი ას ცამეტ ათას დინარს შეადგენს.
ე ჯ ნ ა ნ ი. მას „ქარხანა-ს“ უწოდებენ იმის გამო, რომ იქ სპილენძის მადნე-
ბია. ო რ დ უ ბ ა დ ი ქალაქია, ბაღნარი ბევრი აქვს და მშვენიერი ყურძენი, პუ-
რეული და ბამბა მოჰყავს. მისი წყალი ყობანის მთებიდან მოდის და ნიაღვრე-
ბი არეზში ჩადის. ა ზ ა დ ი მცირე ქალაქია. იქ მოდის პურეული, ბამბა და
ყურძენი მრავლად. იქაური ღვინო დიდად განთქმულია. მისი წყალი ყობანის
მთებიდან მოდის და არეზს ერთვის. ხალხი თეთრსახიანია, ხოლო ხასიათით —
36 სასტიკი. || მისი სახელმწიფო შემოსავალი თვრამეტ ათას სამას დინარს უდრის.
მ ა ქ უ ჲ ე ციხეა კლდეზე. ამ ციხის ძირას ერთი სოფელია და ის მთა შუადღემ-
დე ჩრდილავს [სოფელს]. [ქრისტიანთა] მღვდელთმთავრის „მარჯანისას“ სამყო-
ფელი ადგილი იქ არის.

კ ა რ ი მ ე ო თ ხ ე

არანისა და მუღანის ოლქის ხსენება

ჰავა თბილი და სიდამპლისაკენ მიდრეკილი აქვს. მისი საზღვრები არმე-
ნიას, შარვანს, აზერბაიჯანს და ხაზართა (კასპიის) ზღვას ეკვრის. სახელმწიფო
გადასახადი ათაბაგების დროს სამას ეხლანდელ თუმანს სჭარბობდა, ხოლო ამ
ჟამად ოცდაათი თუმანი და სამი ათასი დინარი სწერია [სახელმწიფო] დავ-
თარში. მ უ ღ ა ნ ი. „სანგ ბერ სანგ“-ის მთებიდან, რომელიც ფიშქინის „თუმა-
ნის“ პირისპირ მდებარეობს, მდინარე არეზის ნაპირამდე — მუღანის ველაიეთია.
იმ მანძილზე, რომლიდანაც საბელანის მთა არ ჩანს, ბალახი ვისოპი შემოდგო-

მაზე შხამიანი ხდება და მისი შეჭმა ოთხფეხს ჰკლავს. გაზაფხულზე შხამი მას
ნაკლები აქვს და მშიერი საქონლისათვის მით უფრო მაზარალებელია, რომ ის
სხვა ბალახსაც სჭამს. ხოლო [იმ ადგილიდან, საიდანაც] საბელანის მთა უკვე
ჩანს, ვისოპის ბალახის ეს მავნებლობა ისპობა. ბ ა ჯ რ ე ვ ა ნ ი მეოთხე სარტ-
ყელს ეკუთვნის. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან 83, 59 უდრის, სიგა-
ნედი ეკვატორიდან—38-ს. პირველად ის მუღანის მთავარი ქალაქი იყო, || ამჟა- 37
მად კი დანგრეულია და სოფელს წარმოადგენს. „მესალექ ალ-მემალექში“ [49] მო-
ყვანილია ის, რასაც ღმერთი ბრძანებს საღვთო წერილში (ყურანში) მოსესა და
ილიას შესახებ თავში: „ხომ უთხრა მოსემ თავის ყმას: „მე არ გავჩერდები,
სანამ არ მივაღწევ ორი ზღვის შერთვის ადგილს, თუნდაც ვიელი ხანგრ-
ძლივ“ — და შემდეგ: „და ვიდოდნენ ისინი, ვიდრე არ შეხვდნენ ერთ ყრმას, და
მან მოჰკლა ის“. მოსემ უთხრა: „შენ უგულოდ მოჰკალ წმინდა არსება და ჩაი-
დინე უარსაყოფი საქმე“. ის კლდე შარვანის კლდეა და ის ზღვა გილანის (კას-
პიის) ზღვაა. ის სოფელი — ბაჯრევანია და ის მსახური სოფელ ხიზანში მოჰკ-
ლეს. „სუვარ ალ ეყალიმში“ [50] ნათქვამია, რომ მოსეს კლდე ანტიოქიაში იყო, ხო-
ლო (ყურანის) თარგმანებათა წიგნებში ამ ამბავს ორი ზღვის შეერთების ად-
გილის [51] შესახებ მოგვითხრობენ, და ეს მესამე გადმოცემა უფრო სწორია.
ბაჯრევანის ჰავას ცხელისაკენ აქვს მიდრეკილება; მისი წყალი მომდინარეობს
იმ მთებიდან, რომლებიც მის საზღვრებშია. პურეულის გარდა იქ სხვა არაფერი
მოდის. ბ ე რ ზ ე ნ დ ი მეოთხე სარტყელშია. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულე-
ბიდან—83, 59, სიგანედი ეკვატორიდან—37, 49. საშუალო ქალაქი იყო. მისი
დანგრევის შემდეგ, აბასიდთა ხალიფას მუ'თასიმის მსახურმა აფშინმა გააშენა
[ხელახლა] და თავის საჯდომად გახადა. ამჟამად ისევ დანგრეულია და სოფ-
ლად არის დარჩენილი. მისი ჰავა ცხელისაკენ არის მიდრეკილი, || წყალი მისი 38
მიწის ქვეშ წყაროდანაა ამოყვანილი. მოსავალი—პურეულია. ფ ი ლ ს უ ვ ა რ ი,
მეხუთე სარტყელს ეკუთვნის. ააშენა ერთმა ამირამ, სახელად ფილსუვარ,
ე. ი. „დიდი მხედარი“, რომელიც ალ-ბუვეიჰების ამირათა რიცხვს ეკუთვნო-
და. ამჟამად დარჩენილია, როგორც სოფელი. წყალი ბაჯრევანის მდინარიდან
აქვს; მის მოსავალს პურეული შეადგენს. მ ა ჰ მ ა დ ა ბ ა დ ი გავბარის ველზე
ზღვის პირას არის გაშენებული. ღაზან-ხან მონღოლმა ააშენა. ეკუთვნის მეხუთე
სარტყელს. ჰ ა მ შ ა ჰ რ ე მეხუთე სარტყელშია, გილანის (კასპიის) ზღვის ნა-
პირზე. აქედან ზღვამდე ორი ფარსანგი იქნება. პირველად მას აბარ შაჰრ-ს
უწოდებდნენ და საჯდომი იყო ფერჰად ბენ გოდერძისა, რომელსაც ბათ ნასრად
(ნაბუქოდონოსორად) სთვლიან. ფერდოუსი ამ ადგილის და ფერჰადის ხსენე-
ბისას ამბობს:

ლექსი

როცა აბარშაჰრე აირჩია ფერჰადმა,
ბრძოლაში მან ქვეყანას სინათლე წაართვა [52].

არანი. მდინარე არეზის ნაპირებსა და მდინარე მტკვარს შუა მდება-
რეობს არანის ქვეყანა. ბაილაკანი მეხუთე სარტყელშია. მისი სიგრძედი
ბედნიერ კუნძულებიდან უდრის 83, 32, სიგანედი ეკვატორიდან—39, 55. კობად
ბენ ფირუზ სასანმა ააშენა და ამ ჟამად დაქცეულია. მისი შენობები უმთავრე-
სად აგურისაა. ჰავა ცხელი აქვს; მოსავალს პურეული, ბრინჯი, ბამბა და სხვა
კარგი ჭირნახული შეადგენს. ბარდავი მეხუთე სარტყელშია. მისი სიგრძე-
39 დია || ბედნიერ კუნძულებიდან—84, სიგანედი ეკვატორიდან—40, 20. ალექსანდ-
რე რუმიელმა (მაკედონელმა) ააშენა, კობად ბენ ფირუზ სასანმა განაახლა. დი-
დი ქალაქი იყო მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და ბევრი დიდებული შენო-
ბით. ხილი ბევრი აქვს და იქაურ ხილიდან თხილი და წაბლი სხვა ადგილის
[თხილსა და წაბლზე] უკეთესია. მისი წყალი [მოდის] მდინარიდან, რომელიც
ტერტერის [სახელით] არის ცნობილი. განჯა მეხუთე სარტყელს ეკუთვნის. მი-
სი სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან უდრის 83, სიგანედი ეკვატორიდან—40,34.
ისლამის ქალაქია, ჰიჯრის 39 (=659) წელს აშენდა. მშვენიერი, დიდებული
ქალაქი იყო და ამაზე უთქვამთ:

ლექსი

„რამდენიმე ქალაქია ირანში ყველაზე უფრო მაღლა მდგომი,
უკეთესი და ყველაზე უფრო ცხოველმყოფი ჰავის სიმშვენიერით:
განჯა განძით სავსე—არანში, ისპაჰანი—ერაყში,
ხორასანს—მერვი და თუსი, ხოლო რუმში—აყსარა“.

ჰირაქი ბარდავის იალაღსა, დიდს, კარგსა და მიმზიდველ ადგილს წარ-
მოადგენს. უხვად აქვს მიმდინარე წყალი, საძოვრები, ბევრი—სანადირო ადგი-
ლი. ბარდავის მოსახლეობა ზაფხულობით იქ მიდის, ზამთარს კი ქალაქში
ატარებს.

კარი მეხუთე

შარვანის და გუშთასფის ადგილთა ხსენება

შარვანი. მდინარე მტკვრის ნაპირიდან ბაბ ელ-აბვაბის დარუბანდამდე
40 შარვანის ქვეყანაა. მისი სახელმწიფო შემოსავალი || შარვანის მეფეების ხა-
ნაში ჩვენი დროის ას თუმანს შეადგენდა და ახლა თერთმეტი თუმანი და სამი
ათასი დინარია [სახელმწიფო] დავთარში ჩაწერილი, ხოლო (ამ დავთრის) გა-
სავალ ნაწილში (ﺣﻘﻮ) ბევრი ნაწყალობევი მამულია შეტ-ნილი[53].

ბაქუიე მეხუთე სარტყელშია. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულები-
დან 84, 30 უდრის, ხოლო სიგანედი ეკვატორიდან—40, 30. ჰავა ცხელისა-
კენ არის მიდრეკილი, მოსავალი უმთავრესად პურეულისაგან შესდგება. შამა-
ხია შარვანის მთავარი ქალაქია; ის მეხუთე სარტყელში მდებარეობს. მისი
სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან 84, 30 უდრის, ხოლო სიგანედი ეკვატორი-
დან—40, 39. ანუშირვან სამართლიანს აუშენებია. ჰავა ცხელისაკენ მიდრეკილი
და სხვა ადგილთა [ჰავაზე] უკეთესი აქვს. „მესალექ ალ-მემალექში“ ნათქვამია,

რომ მოსეს კლდე და სიცოცხლის წყარო იქ იყო, ხოლო სხვა წიგნები ამბო-
ბენ ორი ზღვის შეერთების ადგილთან იყოო.

ყაბალა მეხუთე სარტყელშია დარუბანდის ახლოს. კობად ბენ ფირუზ
სასანმა ააშენა. მოჰყავთ აბრეშუმი, პურეული და სხვა მშვენიერი ჭირნახული.
ფირუზაბადი. „მო'ჯამ ელ-ბოლდან“-ში[54] ნათქვამია, რომ ის (ფირუზაბადი)
ქალაქია დარუბანდის ახლოს. ჰავა კარგი აქვს და მშვენიერი ადგილი ბევრი
მოეპოვება. შაბურანი ანუშირვან სამართლიანმა ააშენა. ჰავა ცხელი აქვს
და წყალი არასაღი; მოჰყავთ პურეული || და [სხვა] მშვენიერი ჭირნახული. 41
გუშთასფი. ზღვის პირიდან დაწყებული გუშთასფის ქვეყანაა (ველაჲეთია).
ის გუშთასფ ბენ ლოჰრასბმა გააშენა. ერთი დიდი არხი გამოუჭრიათ მდინარე
მტკვრიდან და არეზიდან, გამოუყვანიათ მისგან ტოტები და მათზე აუშენებიათ
მრავალი სოფელი. მის მოსავალს შეადგენს პურეული, ბრინჯი, ცოტა ბამბა და
ხილი. ხალხი თეთრსახიანია, იმამ შაფის[55] რწმენისა; ენა მათი ფალაურია და
დაკავშირებულია გილანურთან. მისი სახელმწიფო შემოსავალი ძველ დროს,
მონღოლთა სახელმწიფოს გაჩენამდე, დაახლოვებით ჩვენის დროის ას თუმანს
შეადგენდა; ამჟამად ას თვრამეტ ათას ხუთასი დინარია, ხოლო [სახელმწიფო
დავთრის] გასავალ ნაწილში ჩაწერილია სხვადასხვა ნაწყალობევი მამული მხედ-
რებისა, რომლებიც აქ სახლობენ.

კარი მეექვსე

აფხაზ(ეთ)-ის და საქართველოს ქალაქთა ხსენება

ხოლო იქ ხუთი ქალაქია და ჰავა ცივი აქვს. მისი საზღვრები არანს, არ-
მენიას და რუმს ეკვრის. სახელმწიფო შემოსავალი ამ ქვეყნისა იქაური მეფეების
დროს დაახლოვებით ეხლანდელ ხუთას თუმანს შეადგენდა, ხოლო ამჟამად ას
ოცი თუმანი და ორი ათასი დინარია. საქართველოს და აფხაზეთის სატახტო
ქალაქი || ტფილისია. 42

ალანი მეხუთე სარტყელს ეკუთვნის. მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულე-
ბიდან 88, ხოლო სიგანედი 40-ს შეადგენს. ფირუზ ბენ კობადმა ააშენა. ჰავა
მეტად კარგი და ცივისაკენ მიდრეკილი აქვს. მისი წყალი ელბორზის მეზობ-
ლად მყოფ მთებიდან მოდის და მტკვარს ერთვის. იქ მოდის პურეული და ხი-
ლი. ანისი მეხუთე სარტყელს ეკუთვნის: მისი სიგრძედი ბედნიერ კუნძულე-
ბიდან 79 უდრის, სიგანედი ეკვატორიდან—41-ს. ჰავა ცივი აქვს, მოსავალი—
პურეულია და ცოტა ხილიც აქვს. ტფილისი მეხუთე სარტყელშია. მისი
სიგრძედი ბედნიერ კუნძულებიდან—83. სიგანედი ეკვატორიდან—48. ის ჩადგმუ-
ნილია ხეობაში, რომლის ერთი მხარე მთის ძირს წარმოადგენს. შუაზე მდინა-
რე მტკვარი ჩამოუდის. ერთ მხარეზე შენობებია აგებული მტკვრის პირზე ისე,
რომ სახლების ერთი რიგის (მწკრივის) ბანები შემდეგი, უფრო მაღლა მდგომი
მწკრივის ქუჩის იატაკს წარმოადგენს. იქ ბევრია აბანო, სადაც ცხელი წყა-
ლი გამოდის და ცეცხლს არ საჭიროებს. იქ მოდის მეტად კარგი პურეული,
ხილი ცოტა აქვს. ხუნანი მაგარი ციხეა ერთ მაღალ ბორცვზე, არანის
საზღვრად. ყარსი. „მო'ჯამ ელ-ბოლდან“-ში ნათქვამია, რომ ის (ყარსი)

43 მცირე ქალაქია ტფილისიდან ორი დღის სავალზე. || ჰავა კარგი აქვს, მოდის
ძალიან კარგი პურეული. ქვეყანა—მაღლობია.

კარი მეშვიდე

რუმის ადგილების შესახებ

.... რუმის სახელმწიფოს საზღვრები საქართველოს. არმენიას, სიის (მცირე არმენიას) და რუმის ზღვას (ხმელთაშუა ზღვას) ეკვრის. მისი სახელმწიფო შემოსავალი ამჟამად სამას ოცდაათი თუმნის [ოდენობით] სწერია დავთარში, ხოლო სელჯუკების დროს ის ათას ხუთას ეხლანდელ თუმანს უდრიდა.

თავი პირველი

ირანის გზების მანძილთა შესახებ

წიგნის დასაწყისში ფარსანგის სიგრძის შესახებ გამორკვეული იყო,
რომ ძველმა სწავლულებმა ქეიკობად ქიანიდის დროს უფრო სანდოდ
მიიჩნიეს ფარსახები და ყოველი ფარსანგის სიგრძე სამ მილად მიიღეს, რაც
თორმეტ ათას ხალხურ წყრთას, არა თერძის ადლს,—უდრის. „მელიქ-შაჰის
რესალეში“ [56] სწერია, რომ სულთანმა. რომელსაც ფარსახების [სიგრძის შესახებ]
სულ სხვადასხვა ოდენობა ესმოდა, ბრძანა ირანისა და სხვა ველაჲეთების იმ
გზათა უმრავლესობის გაზომვა, რომლებიც მას [თვით] გაუვლია. ხვარაზმული
ფარსახი დაახლოვებით თხუთმეტი ათასი ბიჯია, არმენიასა და ადერბაიჯან-
44 ში—ათი ათას ბიჯს აღწევს, ორივე ერაყში, ქურდისტანში || და ლორესტანში,
ხუზისტანსა და ხორასანში, ფარსში, შებანქარეში, დიარბექრსა და სხ. დაახლო-
ვებით ექვსი ათასი ბიჯი გამოვიდა. რუმსა და საქართველოში, არანსა, მუღან-
სა და შარვანში თვით ფარსახები მიღებული არ ჰქონდათ და [გზას] გადასავლე-
ლებით და [სვლაზე დახარჯული] დროის მიხედვით ანგარიშობდნენ. მთელს
თავის სახელმწიფოში მან (სულთანმა) ექვსი ათასი ბიჯი დაადგინა ფარსანგის
ზომად. იმ გზების მანძილები ერთ დასასვენებელ ადგილიდან მეორემდე, რომ-
ლებიც მას გავლილი ჰქონდა, ყველა მოხსენებულია იმ „რესალეში“...

თავი მეორე

ირანისა და სხვა ცნობილი მთების ხსენება

ელბორზის მთა დიდი მთაა. რომელიც ბაბ-ელ-აბვაბს (დარუბანდს) ეკვრის და რომელზედაც მრავალი [სხვა] მთაა გადაბმული, ასე რომ თურქისტანიდან ჰეჯაზამდე დაახლოვებით ათასი ფარსანგის სიგრძე ექნება და ამის გამო ზოგი მას ყაფის მთად სთვლის. მის დასავლეთ მხარეს, რომელიც საქართველოს მთებს ეკვრის, ლეგზების მთას ეძახიან. „სუვარ ელ-ეყალიმში“ [58] ნათქვამია, რომ ლეგზების მთაზე მრავალი ერი ცხოვრობს, ასე რომ სამოცდაათზე მეტ

სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენო. ამ მთაზე ბევრი [სხვა] საკვირველებაც მოიპოვება...

... ყაბალას მთა არანსა და საქართველოს შუა არის.

თავი მეოთხე

მდინარეთა და წყაროთა წარმოდენის აღწერა

|| არანის მტკვრის [57] წყალი ყალიყალას მთებიდან გამოდის და, გაივლის 45
რა საქართველოში ქალაქ ტფილისის შუაზე, არანში ჩადის. მისი ერთი ტოტი
შამქორის ტბას ერთვის, ხოლო უმეტესი ნაწილი მეორე შტოთი ენბარჯის
იურთა-ბაზარში არეზისა და ყარასუს წყალს უერთდება და გუშთასფის ვე-
ლაჲეთში ხაზართა ზღვაში ჩადის. ამ მდინარის სიგრძე ორასი ფარსანგი იქ-
ნება...

თავი მეხუთე

ზღვებისა და ტბების ხსენება

... ხაზართა ზღვა. დიდი მდინარეები, როგორც ითილი (ვოლგა), ჯეჲჰუნი (ამუ-დარია), მტკვარი, არეზი, შაჰრუდი, სეფიდრუდი და მისთანანი ამ ზღვაში ჩადის.

აღმოსავლეთის მხარე, რომელიც შვიდ სამყოფელს შეიცავს

... იაჯუჯის და მაჯუჯის ზღუდე... „მესალექ ალ-მემალექი“
ამბობს, რომ ხალიფა ვასეყ აბასიდმა სიზმარში ნახა, თითქოს (ეს) ზღუ-
დე გახეთქილიყოს. მან (სიზმრის) ამხსნელს სალამს ჩისცა 228 (842) წელს
საგზალი და ქარავანი და ორმოცდაათი კაცით გაგზავნა მისი მდგომა-
რეობის გამოსარკვევად. (ამხსნელი) სამერედან არმენიისა და აფხაზეთის
მფლობელთან მივიდა. იქიდან ფილან-შაჰთან, || შარვანის პატრონთან ჩავი- 46
და, ხოლო მისგან ალანთა მეფესთან მივიდა, შემდეგ სერირის მფლობელს,
ე. ი. ბაბ-ელ-აბვაბის მეფეს ეახლა, იქიდან კი ხაზართა მეფესთან თარხან მა-
ლექთან მივიდა. თარხანმა მათთან ერთად გაგზავნა გზის მაჩვენებლები. ოცდა
ექვსი დღე იარეს, მივიდნენ ერთს ქვეყანაში, სადაც ცუდი სუნი მოდიოდა;
კიდევ ათი დღე იარეს და მიაღწიეს ერთს ქალაქსა და ქვეყანას, სადაც პირ-
ველ იაჯუჯის და მაჯუჯის სამყოფელი იყო.

(ჩრდილოეთის მხარე)

ბაბ ელ-აბვაბი (დარუბანდი). არაბები მას სერირს ეძახიან, ირანელები („ფარსები“) ხან დარუბანდს (დერბენდს), ხან კიდევ ფილანს იტყვიან და იქაურ მმართველსაც ფილან-შაჰს ეძახიან, ხოლო მონღოლები ტემურ-

ყაფუ-ს (რკინის კარს) უხმობენ. ის მეხუთე სარტყელს ეკუთვნის. მისი სიგრძე-დი ბედნიერ კუნძულებიდან უდრის 75-ს, სიგანედი ეკვატორიდან — 48-ს, ლოჰრასბ ქიანიდმა დააარსა და მისმა შვილიშვილმა ესფენდიარ ბენ გოშთასფ ბენ ლოჰრასბმა დაამთავრა. ტფილისის მსგავსი ქალაქია. კობად ბენ ფირუზის დროს ის დანგრეულიყო და [კობადმა] მას ალიზის კედელი აუშენა. ანუშიროვან სამართლიანმა განაახლა მისი შენებულობა და ააგო ქვითკირის დიდი პატნეზი და კედელი, რომელიც პატნეზს უერთდებოდა. ამ კედლის ერთი მხარე მან ხა-
47 ზართა ზღვაში ჩაიყვანა, დაახლოვებით || ნახევარი ფარსანგით; მეორე მხარეზე კი კედელი კაბკის მთას მიუდგა, ასე რომ სხვა გასასვლელი თითქმის აღარ დარჩა. ზოგიერთნი მას (ამ კედელს) იაჯუჯის და მაჯუჯის ზღუდეს ეძახიან, მაგრამ ეს თქმულება მართალი არაა. ანუშირვანის [მიერ აგებულ] შენობებს უკანასკნელ დრომდე მოუღწევია. ანუშირვანს ქალაქის პატნეზის თავს კოშკებში ბევრგან მოწყობილი ჰქონდა მცველების სადგომები და იქ დაყენებული ჰყავდა მოსულელი და დიარბექრელი მცველები ხაზარების ბოროტგანზრახვებისაგან დასაცავად. მან აგრეთვე იმ მთაზე ააგო ციხის მსგავსი თოთხმეტი კოშკი და ამ კოშკებიდან ზოგიერთი [ახლაც] დგას. ის მცველები არაბულადაც ლაპარაკობენ. ბაბ-ელ-აბვაბის ჰავა ცხელია. მოსავლიდან მოდის მშვენიერი პურეული; აქვს აგრეთვე კარგი სათიბები, წყალი და ოთხფეხი საქონელი ბევრი. მათ შემოსავალს უმთავრესად ესენი შეადგენენ.

თარიხე გოზიდე — „რჩეული ისტორია“

მეოთხე კარის მეექვსე თავი

სელჯუკთა პირველი შტოს ხსენება

ა ლ ბ ა რ ს ლ ა ნ ი

... სულტანმა ალბარსლანმა საქართველოზე გაილაშქრა. ბრძოლის 48
შემდეგ იმ ადგილის მმართველმა ბაგრატ გრიგორის ძემან სულტანთან ზავი დასდო. საქართველოს ზოგი ამირათაგანი სულტანს ტყვედ ჩაუვარდა, ზოგმა მუსლიმანობა მიიღო. ერთი იმათთაგანი ბეშთეგინი იყო. მონის საყელოს ნაცვლად (სულთანმა) მას ცხენის ნალი გაუკეთა ყურში. მისი შთამომავლობაც აგრეთვე ატარებს ყურში დიდ რგოლს.

ქალაქი ვერავი უწყალობა მას (ალბარსლანმა) და ეს ქალაქი [illegible] ბეშთეგინად არის ცნობილი.

სულტანი გაემართა არმენიის დასაპყრობად და იმ ადგილის მეფესთან ზავი დასდო და მისი ქალი ცოლად ითხოვა. რამდენიმე ხნის შემდეგ სულტანი გაეყარა მას და ნეზამ ოლ-მოლქს უბრძანა აეყვანა ის ცოლად. ნეზამ ოლ-მოლქს იმ ქალისაგან შვილები ეყოლა. ხოჯა აჰმედი იმ ქალისაგან იყო.

ბერქიაროყ ბენ მელიქ-შაჰ

სულტან ბერქიაროყ ბენ მელიქ-შაჰ ბენ ალბარსლან ბენ ჩალარ-ბეგ ბენ 49
მიქაელ ბენ სელჯუკ თავის მამის [გარდაცვალების] შემდეგ ისპაჰანში იმყოფებოდა. თურქან-ხათუნმა მაჰმუდი წაიყვანა და სატახტო ქალაქის ისპაჰანისაკენ გაემართა. მან დაუწყო ბრძოლა ბერქიაროყს და ქორბუღა, სულტანის მსახური, ბაღდადიდან შვიდი დღე ისპაჰანამდე არბენინა.

ბერქიაროყი ნეზამის მსახურთა დახმარებით ისპაჰანიდან გაიქცა და რეიში ხელმწიფედ დაჯდა. სულტან (მელიქ-შაჰის) მსახურნი ქორბუღა, ონოხი და ყომაჯი ოთხას ოთხმოცდა ხუთი წლის ზილ-ჰეჯჯეჰის თვის უკანასკნელ რიცხვს (=1093 წ. იანვრის 31) ბორუჯერდთან შეებრძოლნენ მას და დამარცხებულნი ისპაჰანს წავიდნენ. ბერქიაროყი მათ დაედევნა და მაჰმუდთან სამეფო ისპაჰა-

ნისაკენ გამოემართა. მან ხუთასი ათასი დინარი აიღო თურქან-ხათუნისაგან,
დროებით მოეშვა მათ და უკან დაბრუნდა.

... ბერქიაროყმა თავის ძმას სანჯარ ბენ მელიქ-შაჰს ოთხას ოთხმოცდაათ
(=1096/1097) წელს მისცა ხელმწიფობა ხორასანს და თვითონ ერთ ხანს იქ
დაჰყო. ერაყში, რადგანაც ბერქიაროყმა მოაჲჲედ ოლ-მოლქ აბუბექრი გადა-
აყენა [ვაზირობიდან], მან (მოაჲჲედმა) სულტან მელიქ-შაჰის მსახური ონოზი
მეფობის საძიებლად შეაგულიანა და წააქეზა და ყოველგვარი სამეფო [მო-
წყობილობა] მოუმზადა. ისიც გამოემართა ისპაჰანიდან ბერქიაროყთან საომრ-
50 ად || ხორასნის გზით. მაგრამ განგებამ სხვა გადასწყვიტა, და სანამ ისინი
(მოწინააღმდეგენი) ერთმანეთს შეხვდებოდნენ, 492 წ. მოჰარემის თვის პირველ
ათეულში (=1098 წ. ნოემბრის 28—დეკემბრის 7) მოლიდებმა საველთან მოჰკ-
ლეს ონოზი.

ამავე წელს ფრანგებმა (ჯვაროსნებმა) წაართვეს მუსლიმანებს იერუსალი-
მი და სამოცდაათი ათასი მუსლიმანი აწამეს, დაარბიეს და აურაცხელი ქონება
წაიღეს. მოაჲჲედ ოლ-მოლქი, ონოზის მოკვლის შემდეგ, ერაყიდან არანში წა-
ვიდა მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰთან და [ახლა] ის ასტეხა მეფობის საძიებლად.
მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰი დიდი ლაშქრით ერაყისაკენ გაემართა.

... არანის მხრიდან მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰ ჰამადანს მივიდა და ბერქია-
როყის იქ არყოფნის დროს ხელმწიფედ დაჯდა. მოაჲჲედ ოლ-მოლქი ვაზირი
გახდა. სულტანმა ბერქიაროყმა ძმას ბრძოლა დაუწყო, მაგრამ დამარცხდა. ამ
ომში მოკლა ბაღდადის ქალაქის მმართველი გოუჰარ აჲინი. დამარ-
ცხებული სულტანი ბერქიაროყი ხუზისტანს წავიდა. მას შეუერთდა თავის
ლაშქრით სულტან მელიქ-შაჰის მსახური, ამირა აჲაზი. ბერქიაროყი ერაყს მი-
ვიდა და [illegible]სთან ომი დაიწყო. 494 წ. ჯომადი ოლ-ახერის თვეს (=1101 წ.
51 აპრილი) მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰ დამარცხებულ იქნა და || ვაზირი მოაჲჲედ
ოლ-მოლქი ტყვედ ჩავარდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან (მოაჲჲედმა) მოიგო
ამირების გული და სულტანს წინადადება მისცა გარკვეული პირობით დაეთმო
მისთვის ვაზირობა. ბერქიაროყი დათანხმდა [ამ წინადადებაზე] და მოაჲჲედიც
შეუდგა თავის პირობის შესრულებას.

ამ მდგომარეობაში ერთმა პირფარეშმა (თაშთდარმა), რომელსაც ეგონა
სულტანს სძინავსო, დაიწყო მოაჲჲედის ლანძღვა, [და ამბობდა] ის ბერქია-
როყს ღალატობს და სელჯუკებს არაკეთილშობილ ხალხად სთვლისო.

სულტან ბერქიაროყს არ ეძინა. ამ სიტყვებზე გაჯავრდა, გაგზავნა კაცი,
მოაყვანინა მოაჲჲედ ოლ-მოლქი და თავის ხელით მოჰკლა ის ამავე (494) წლის
შა'ბანის თვის 20 (=1101 წლ. ივნისის 20), ხოლო პირფარეშს უთხრა: „მაშ
როგორი ყოფილა სელჯუკიანთ კეთილშობილობაო (თავმოყვარეობაო)“?!

მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰ ამ ომის შემდეგ რეიში გაიქცა. სანჯარი, მისი
უმცროსი ძმა, მას შეუერთდა ხორასნიდან. როცა ბერქიაროყმა გაიგო მათი
ამბავი, დაუსუსტებული სხეულით და ავადმყოფი გამოემართა მათ წინააღმდეგ
ბაღდადიდან. ამირები ჩადგნენ შუაში და მათ შორის ზავი ჩამოაგდეს. მოჰამედ
ბენ მელიქ-შაჰ ყაზვინს მოვიდა და [მტერთან] დაზავება ინანა. მან თვალები
დასთხარა აჲთეგინ მაჰრუს და მოჰკლა ბესმელი — ზავი რად დამადებინეთო.

სულთანი || ბერქიაროყი მის წინააღმდეგ საომრად წამოვიდა და 495 წლის 52
რები ოლ-ახერის თვეს (=1102 წ. იანვრის 23-დან თებერვლის 20 მდე) მათ
საველთან ბრძოლა გამართეს. დამარცხებული სულტან მოჰამედი ისპაჰანს გაიქ-
ცა, სულტან ბერქიაროყმა ჯარით მისდია მას და ისპაჰანს ალყა შემოარტყა.
მოჰამედი [ქალაქიდან] გამოვიდა და შეებრძოლა მაგრამ დამარცხდა და
ხოჲში წავიდა. სულტან ბერქიაროყი უკან დაედევნა. ხელახლა ბრძოლა გაი-
მართა. დამარცხებულმა მოჰამედმა განჯას მიმართა. 496 წელს. ჯომადი ოლ-
ახერის თვეს (=1103 წ. მარტის 12—აპრილი 9) მათ ხელახლა დასდეს ზავი
შემდეგ პირობებზე: სირია, ერაყი, დიარბექრი და სხვა ქვეყნები ერაყის ეფრა-
ტის მიმდგომ მხარეებისა, აზერბაიჯანი, მუღანი, არანი, არმენია და საქართვე-
ლო სულტან მოჰამედის იქნებოდა, ხოლო დანარჩენი ქვეყნები ბერქიაროყისა,
და „ხოტბაში“ (ლოცვის დროს) ერთის სახელს არ მოიხსენიებდნენ მეორის
სამფლობელოში.

სულტანი ბერქიაროყი გაემართა ბაღდადს, მაგრამ გზაში ავადმყოფო-
ბა მეტად გაუძნელდა. თავისი შვილი მელიქ-შაჰი ტახტის მემკვიდრედ და-
ნიშნა და ათაბაგს აჲაზს ჩააბარა. 498 წ. ჯომადი ოლ-ახერის თვის 12-ს
(1105 წ. მარტის 1) ბერქიაროყი გარდაიცვალა ბერუჯერდს 25 წლისა. იმეფა
რა 12 წელსა და რვა თვეს.

ერაყის სელჯუკები

მაჰმუდ ბენ მოჰამედ

|| სულტანი მაჰმუდ ბენ მოჰამედ ბენ მელიქ შაჰ ბენ ალბ-არსლან ბენ ჩა- 53
ღარ-ბეგ ბენ მიქაილ ბენ სელჯუკ მამის [სიკვდილის] შემდეგ ერაყში ხელმწი-
ფედ დაჯდა. იმის შემდეგ, რაც მას თავის ბიძასთან ომი ჰქონდა და ზავი დას-
დო მასთან, ბიძამ ერაყი, ადერბაიჯანი, ბაღდადი, დიარბექრი, ფარსი, არანი,
არმენია და საქართველოც გადასცა მას. ხალიფა მოსთარშედმა მას სულტან
მოღის ოდ-დინ მაჰმუდ ჲემინე ამირ ოლ-მუ'მინინის ლაყაბი
უბოძა. ის სიძე იყო სულტან სანჯარისა, მისი ორი ქალიშვილი ჰყავდა ცო-
ლად და თვითეულ მათგანისაგან ვაჟი ეყოლა.

მასუდ ბენ მოჰამედ

სულტანი მასუდ ბენ მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰ ბენ ალბ-არსლან ბენ ჩაღარ-
ბეგ ბენ მიქაილ ბენ სელჯუკ. როცა თოღრული ჰამადანში გარდაიცვალა, ზოგ-
მა დიდებულებმა ბაღდადში გაგზავნეს [კაცი] მასუდის მოსაწვევად ტახტზე,
ზოგმა კიდევ დავუდ ბენ მაჰმუდი იხმო ადერბაიჯანიდან. მასუდი წამოვიდა
და დავუდზე ადრე ჩავიდა ჰამადანს. სამეფო მას დაუმკვიდრდა.

რათა თავიდან აეცილებინა შუღლი დავუდისა და ათაბაგ ყარასონყორის
მხრივ, რომელიც (ათაბაგი) იმ სახელმწიფოს უდიდესი წარჩინებულთაგანი იყო
და რომელსაც დავუდის მხარე ეჭირა, [მასუდმა] დავუდი ტახტის მემკვიდრედ

45 გახადა, მისცა თავისი ქალი გოუჰერ-ხათუნი ‖ და გაგზავნა ხელმწიფედ არანსა,
აზერბაიჯანსა და არმენიაში. დავუდმა თაბრიზი [თავის] სამეფო სახლად (სა-
ტახტო ქალაქად) შექმნა და თავის სამფლობელოს საქმეები ფრიად დააწინაუ-
რა. მან შვიდს წელიწადს დაჰყო ხელმწიფედ იმ ქვეყანაში. შემდეგ თაბრიზის
მცხოვრებთა ერთს ჯგუფს ისმაილიტობა დააბრალეს. მან ისინი დახოცა. მე-
ლაჰედებმა (ისმაილიტებმა) შურის საძიებლად ფედაები მიუგზავნეს და 533
(1138/1139) წელს მას (დავუდს) მოედანზე აბანოს კართან დანა დაჰკრეს; ამ
[ჭრილობისაგან] ის გარდაიცვალა.

ათაბაგი ყარასონყორი ფარსიდან დაბრუნების შემდეგ გარდაიცვალა
აზერბაიჯანში. ათაბაგები ილდიგუზი და ჯავოლი განდიდნენ მის ადგილას.
სულტან მასუდმა თავისი ძმის თოღრულის ცოლი, რომელიც არსლანის დედა
იყო, ათაბაგ ილდიგუზს მისცა და მასთან ათაბაგს ორი ვაჟი ეყოლა—ყიზილ
არსლანი და მოჰამედი. აზერბაიჯანისა და არანის სამფლობელო (მასუდმა) ათა-
ბაგ ილდიგუზს მისცა, ხოლო ფარსის—ათაბაგ ჯავოლის.

არსლან ბენ თოღრული

სულტანი არსლან ბენ თოღრულ ბენ მოჰამედ ბენ მელიქ-შაჰ ბენ ალბარ-
55 სლან ბენ ჩაღარ-ბეგ ბენ მიქაილ ბენ სელჯუკ ‖ თავის ბიძის შემდეგ ხელმწიფედ
დაჯდა და ხალიფას ქალზე ქერძან-ხათუნზე დაქორწინდა. ათაბაგი ილდიგუზი,
რომელიც მისი (არსლანის) დედის ქმარი იყო, მისი სამფლობელოს მმართველი
გახდა. არსლანს ბაღდადიდან როქნ ოდ-დინ არსლან, ყასემე ამირ
ოლ-მუმინინ-ის ლაყაბი მისცეს. ეზზ ოდ-დინ ყიმაზ, ისპაჰანის ვალი (მმარ-
თველი), და ინაჯი, რეის ვალი მოჰამედ ბენ სელჯუკ-შაჰს მიემხრნენ და არს-
ლანთან საომრად მოვიდნენ. ფერრეზინის ციხესთან, ქერე რუდის ველადეთში,
მოხდა სასტიკი ბრძოლა. სულტან არსლანმა გაიმარჯვა. ისინი გაიქცნენ.

არანის მხრიდან აფხაზთა მეფემ ისლამის ქვეყნებზე გამოილაშქრა. სულ-
ტან არსლანი და ათაბაგი ილდიგუზი მასთან საომრად წამოვიდნენ, გაგის ცი-
ხის საზღვრებზე ბრძოლა გაუმართეს და გაიმარჯვეს. დამარცხებული აფხაზები
უკან გაბრუნდნენ. მუსლიმანებს ბევრი ტყვე დარჩათ. არასოდეს ჰქონიათ მუს-
ლიმანებს ასეთი ომი აფხაზებთან და ამოდენა დავლა არ უშოვნიათ. ამ ბრძო-
ლის შემდეგ ყობანის ქვეყანაც მუსლიმანების ხელში გადავიდა...

569 (=1173/1174) წელს აფხაზთა მეფე მეორეჯერ შემოესია ისლამობას.
სულტანი (არსლანი) ათაბაგ მოჰამედთან და ყიზილ-არსლანთან ერთად, რომ-
56 ლებიც დედით მისი მკვიდრი ძმები, ხოლო მამით ‖ ილდიგუზ ათაბაგის შვილე-
ბი იყვნენ,—მის წინააღმდეგ საომრად გაემართა. მაგრამ სულტანი ავად შეიქნა
და ომის საქმე კარგად ვერ წავიდა. [მოწინააღმდეგენი გაიყარნენ და] უკან გა-
ბრუნდნენ. სულტანი ჰამადანს მოვიდა და სეთი ფათემე, ალა ოდ-დოულეს ქა-
ლი, ცოლად შეირთო. 15 დღის განმავლობაში მასთან იყო და 571 წ. ჯომადი
ოლ-ახერის შუა რიცხვს (1175 წ. დეკემბრ. 31) გარდაიცვალა. 15 წელი 8 თვე
და 15 დღე იმეფა. მხოლოდ ღმერთია ყოვლისმცოდნე.

თოღრულ ბენ არსლან

სულტანი თოღრულ ბენ არსლან ბენ თოღრულ ბენ მოჰამედ ბენ მელიქ-
შაჰ ბენ ალბ არსლან ბენ ჩაღარ-ბეგ ბენ მიქაილ ბენ სელჯუკ მამის (სიკვდი-
ლის) შემდეგ ხელმწიფე გახდა და ბაღდადიდან (ხალიფასაგან) მას როქნ-ოდ-
დინ თოღრულ ყასემე ამირ ოლ-მუმინინ-ის ლაყაბი მისცეს. ის
იყო გარეგნობით მშვენიერი, ხასიათით კეთილი, მორჭმული, კეთილშობილი.
მას მშვენიერი ლექსები ჰქონდა. ეს რობაი მისი ნაწარმოებია:

რობაი:

გუშინდელი დღე როგორი სიცოცხლის მომგვრელი დღე იყო
და დღევანდელი დღე კი როგორი ქვეყნის დამწველი განშორების დღეა!
აფსუს (რა სამწუხაროა), რომ ჩემი ცხოვრების დავთარში დრო
მასაც ერთ დღედ ჩასწერს და ამასაც ერთ დღედ!

[თოღრულის] მეფობის დასაწყისში ქვეყნის მნიშვნელოვანი თუ წვრილი
საქმეების სადავეები მისი ბიძის ათაბაგ მოჰამედ ‖ ბენ ილდიგუზის ხელში იყო, 57
ხოლო ლაშქრის (სამხედრო) საქმე მეორე ბიძას, ყიზილ არსლანს ებარა. ორი-
ვემ მათ [თავიანთ დარგში] დიდი ცოდნა და გულადობა გამოიჩინეს.

აფხაზთა მეფე აზერბაიჯანს შემოესია. მოჰამედ ბენ თოღრულ ბენ მოჰა-
მედმა, რომელიც სულთან თოღრულის ბიძა (მამის მხრივ) იყო, ერაყის სახელ-
მწიფოსაკენ გაილაშქრა. ამირების უმრავლესობა მას ახლდა. ათაბაგებმა ერთი
თვის განმავლობაში ორი ლაშქრობა გადაიხადეს და ორივე მტერი დაამარცხეს.
ათი წლის განმავლობაში, ვიდრე ათაბაგი მოჰამედი ცოცხალი იყო, სულტან
თოღრულის სამფლობელო [ისე აყვავდა, რომ] სამოთხის ბაღში იწვევდა
შურს.

სულტან თოღრულმა ათაბაგ მოჰამედის (სიკვდილის) შემდეგ სახელმწიფო
და სამხედრო საქმეები ყიზილ არსლანს გადასცა. მაცდურთა [და შფოთის
ამტეხთა] ერთმა ჯგუფმა მასსა და სულტანს შორის უნდობლობა ჩამოაგდო.
ათაბაგ ყიზილ-არსლანმა ცოლად შეირთო თავისი ძმის (ათაბაგ მოჰამედის)
ქვრივი ფათნე-ხათუნი, ასული ინანჯისა. ქორწინების დროს მან ყურადღება
აღარ მიაქცია სულტანს, და სულტანიც განშორდა მას და სემნანს წავიდა. ყი-
ზილ-არსლანი დაედევნა მას. ისინი დამღანის საზღვრებზე შეხვდნენ ერთმანეთს.
ბრძოლა რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. დაბოლოს, ყიზილ-არსლანი, მიუხე-
დავად იმისა, რომ მრავალრიცხოვანი ჯარი ჰყავდა, დამარცხდა და რეის მო-
ვიდა. იქიდან კი აზერბაიჯანს წავიდა. სულტანი ჰამადანს მოვიდა. ბაღდადი-
დან ურიცხვი ლაშქარი ‖ მოვიდა ყიზილ-არსლანისათვის მოსაშველებლად. მათ 58
ბრძოლა გაუმართეს სულტანს სეფიდრუდის ნაპირებზე, მაგრამ დამარცხდნენ.
სულტანი აზერბაიჯანს გაემართა, ხოლო ყიზილ-არსლანი ჰამადანს მოვიდა. [აქ
მან] სენჯერ ბენ სოლეიმან-შაჰის სახელზე სთქვა ხოტბა (ლოცვა) და სულტან
თოღრულის წინააღმდეგ გაილაშქრა აზერბაიჯანისაკენ. სულტანი ერაყს მოვიდა.

ყოთლოღ ინანჯ ბენ ათაბაგ მოჰამედ ბენ ილდიგუზი აუჯანყდა სულტანს
და ისპაჰანი ხელში ჩაიგდო. სულტანი მასთან საბრძოლველად გამოემართა.

ის (ყოთლოღი) ისპაჰანიდან სავეს გზით ზენჯანს გაიქცა. სულტანი დაეწია მას.
გამართეს ბრძოლა. სულტანი ავად იყო, ამიტომ დამარცხდა და ჰამადანს წა-
ვიდა. მოულოდნელად მას თავს დაეცა ყიზილ-არსლანი, რომელმაც სულტანი
თოღრული და მისი შვილი მელიქ-შაჰი დაიჭირა, აზერბაიჯანს გაგზავნა და იქ
ქეჰრანის ციხეში ჩაამწყვდია. სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ათაბაგ ყიზილ-
არსლანს დარჩა, მაგრამ იმ დღეს, როცა მას უნდოდა ტახტზე ასვლა, დილით
ის მოკლული იპოვეს. [ეს მოხდა] 587 წ. შევალის თვეს (=1191 წ. ოქტომბრ.
22—ნოემბრ. 19). მისი მოკვლა მოლიდთა ფიდაებს დააბრალეს. იმავე ღამეს
ათაბაგი ნოსრეთ ოდ-დინ აბუ-ბექრ ბენ მოჰამედ ბენ ილდიგუზი აზერბაიჯანს
წავიდა და [იქ] ხელმწიფედ დაჯდა[63]. სეიფ ოდ-დინ მანყოლიმ სულტანი თოღ-
59 რული და ‖ მისი შვილი ციხიდან გაათავისუფლა და ერაყის სატახტო ქალაქს
ჩაიყვანა.

588 წლის ჯომადი ოლ-ახერის თვის შუა რიცხვს (=1192 წ. ივნისის 28)
სულტან თოღრული შეება ყოთლოღ ინანჯს ყაზვინის კართან და გაიმარჯვა.
ამ დროს თექეშ ხორეზმშაჰი მოსული იყო რეიში და ერაყის ბატონობაზე სულ-
ტანს ეცილებოდა. ზავი შეჰკრეს იმაზე, რომ რეის სამფლობელო თექეშს დარ-
ჩებოდა. თექეშ ხანი ამის გამო უკან გაბრუნდა. სულტანმა თოღრულმა განხეთ-
ქილების მოსასპობად ცოლად ითხოვა ინანჯის ასული ფეთნე-ხათუნი, [რომე-
ლიც იყო] ინანჯ ყოთლოღის დედა. ის (ფეთნე-ხათუნი) შეეთქვა თავის შვილს,
მათ მოინდომეს სულტანის მოწამვლა. სულტანი მიუხვდა განზრახვას და ის
[მოწამლული] შარბათი ცოლს მისცა დასალევად. [ფეთნე ხათუნი] იქვე მოკვდა.
სულტანმა ინანჯ ყოთლოღი დაატუსაღა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ დი-
დებულთა შუამდგომლობით გაათავისუფლა.

ინანჯ ყოთლოღი თავის ძმას ნოსრეთ ოდ-დინ აბუ-ბექრს ედავებოდა
აზერბაიჯანისათვის და მათ ერთი თვის განმავლობაში ოთხჯერ ჰქონდათ ომი.
ათაბაგმა აბუ ბექრმა გაიმარჯვა და ინანჯ ყოთლოღმა თექეშ-ხან ხორეზმშაჰ-
თან შეაფარა თავი. ხორეზმშაჰმა მის დასახმარებლად ჯარი გამოგზავნა.
60 [გამარჯვების შემდეგ] სულტანი თოღრული რეის მოვიდა, დათვრა და
ეს ორი ბეითი სთქვა:

ჩვენ ამ ქვეყნად ვარსებობთ, ვძოვთ და ვსეირნობთ
გავცემთ [საბოძვარს], ვჭამთ და არას ვდარდობთ.
არც ქონება დაგვრჩება, არც გაშლილი სუფრა, არც სახლი,
რადგან სიცოცხლეც არ რჩება, თქვი: „დაე, ნურაფერი დარჩება!“

სელჯუკთა სულტნების ხელმწიფობა მოისპო ერაყში და ეს სამფლობელო
ხორეზმშაჰების ხელში გადავიდა. სელჯუკთა ამირებს და ათაბაგებს, რომლე-
ბიც მათ (ხორეზმშაჰებს) წინააღმდეგობას უწევდნენ, ყველას მარცხი ეწია, და
სადაც არ ეძიეს მათ შველა, ყველგან მხოლოდ მწუხარება ჰპოვეს. იმ უფარ-
ველობის გამო, რაც მათ თავის კეთილისმყოფელს (პატრონს) უყვეს, ისინი
ყველანი ერთი-მეორის შემდეგ აღიგვნენ დედამიწის პირიდან. დიდებულმა და
ზეამაღლებულმა ღმერთმა ნურავინ დასაჯოს უმადურობის [სენით]!

იმ ათაბაგთა შორის, რომლებიც არ ებრძოდნენ სელჯუკებს, ათაბაგი
ნოსრეთ ოდ-დინ აბუ-ბაქრ ბენ მოჰამედ ბენ ილდიგუზი იყო. თავის ბიძის (მა-
მის მხრივ) ყიზილ არსლანის [სიკვდილის] შემდეგ მან ოც წელს იმეფა არანსა
და აზერბაიჯანში. გარდაიცვალა 607 წელს (=1210 წ. ივნისის 25—1211 წ.
ივნისის 14). მის ადგილას ხელმწიფედ დაჯდა მისი ძმა მოზაფერ ოდ-დინ ოზ-
ბეგი, რომელიც 15 წელს ბრძანებლობდა.

მესამე შტო. რუმის სელჯუკები

სოლეიმან-შაჰ ბენ ყელეჯ-არსლანი

ამის შემდეგ [რუმის სელჯუკთა სულტნის ყელეჯ-არსლან II-ის შვი-
ლებმა სოლეიმან-შაჰ II და ქაიხოსრო I-მა] ზავი დასდვეს შემდეგი პირობით:
მეფობა როქნ ‖ ოდ-დინ სოლეიმანს დარჩებოდა, ხოლო ღიას ოდ-დინ ქაიხოს- 61
როს ის მშვიდობით გაუშვებდა მის მხლებელებთან ერთად ბაბოლისტანში.
ერთხანს ასეც იყო, მაგრამ რადგანაც ქაიხოსროს ეშინოდა ძმის, ამიტომ სტამ-
ბოლს გაიქცა. ამ დროს ერაყში სელჯუკთა მეფეები [უკვე] მოსპობილი იყვნენ
და [მათი] სამფლობელო ხვარაზმელთა ხელში იყო გადასული.

როქნ ოდ-დინ სოლეიმან-შაჰის მეფობის საქმე განმტკიცდა რუმში. ბაღ-
დადიდან (ხალიფასაგან) მას მისცეს სულტან ელ-ყაჰერის ლაყაბი. მან
დაიპყრო არზრუმი და თავის ძმისწულს მისცა. იქიდან მან აფხაზეთსა და სა-
ქართველოზე გაილაშქრა, მაგრამ დამარცხდა, რადგანაც უყურადღებოდ დას-
ტოვა სიფრთხილის პირობები, და უკან დაბრუნდა[61]. მას უნდოდა სამა-
გიერო გადაეხადა (ქართველებისათვის), მაგრამ არ დასცალდა, 602 წელს
(=1205 წ. აგვისტოს 18-დან 1206 წ. აგვისტოს 7-მდე) ის გარდაიცვალა. ოც-
და ოთხი წლისა იყო და ოთხ წელიწადს მეფობდა.

მეოთხე კარის თავი მეშვიდე. ხორეზმ-შაჰები

ყოთბ ოდ-დინ მოჰამედი

სულტანს ყოთბ ოდ-დინ მოჰამედ ბენ თექეშ-ხან ბენ ილ-არსლან ბენ ეთსიზ
ბენ მოჰამედ ბენ ნოუშთეგინს მამის [სიკვდილის] შემდეგ ერგო სამეფო ტახ-
ტი. ‖ მასსა და ღურთა სულთნების შორის წარმოებდა ბრძოლა ხორასნისათვის. 62
მან დაამარცხა სულტანი შეჰაბ ოდ-დინ ღური. შემდეგ ზავი შეკრეს, როგორც
უკვე იყო მოხსენებული.

605 წ. (=1208 წ. ივლისი 16—1209 წ. ივლისის 5) ნიშაბურის ველზე
დიდი მიწისძვრა მოხდა. ორი თვე განუწყვეტლივ მთელი დღედაღამე იძროდა
მიწა ისე, რომ შენობათა კვალიც არ დარჩენილა. ქალაქი სხვაგან ააშენეს, რო-
გორც იყო მოხსენებული. სამოცდაათხი წლის შემდეგ, 669 წ. (=1270 წლ.
აგვ. 20—1271 წ. აგვ. 8) მოხდა კიდევ მიწისძვრა და ის ქალაქი ისევ დაინგ-
რა. სხვა ადგილას ააგეს ქალაქი, რომელსაც ამჟამად ხორასანში უმმ ოლ-
ბელად-ი (ქალაქების დედა) ჰქვია.

... როცა (სულტანი) აჯემის (ირანის) ერაყს მოვიდა, ფარსისა და აზერ-
ბაიჯანის ათაბაგები ერაყის სამფლობელოს ხელში ჩაგდებას ცდილობდნენ.
[სულტანმა] ჯარი წაიყვანა, ფარსის ათაბაგს ს'დს შეებრძოლა და ტყვეთ ჩაიგ-
დო ის. [ათაბაგს] უნდა ეძლია სულტანისათვის ყოველ წელიწადს ფარსის შე-
მოსავლის ოთხი მეექვსედი („ოთხი დანგი")—ამ პირობით შეკრა [სულტანმა]
მასთან ზავი და გაუშვა ის. ათაბაგი ოზბეგი აზერბაიჯანიდან გაიქცა.
63 .... ამასობაში ჩინგიზხანისაგან ირანისაკენ გაემგზავრა ვაჭრების ერთი
ჯგუფი ‖ და ოთრარს მოვიდა. იქ მმართველად იყო ინანჯაყი, რომელიც სულ-
ტანის დედას ენათესავებოდა. მან განზრახ დააკავა ისინი და სულტანს მათი
დახოცვის ნებართვა სთხოვა. რადგანაც სულტანის მეფობა თავის აღსასრულს
უახლოვდებოდა, მას ფიქრად არ მოსვლია [მოსალოდნელი] უბედურება და
მოუფიქრებლად იმ უბედურთა სისხლის დაღვრაზე ფირმანი გასცა. ინანჯაყმა
ხუთასამდე უდანაშაულო კაცი მოჰკლა და მათი ქონება მიიტაცა.
როცა ამ ამბავმა ჩინგიზხანამდე მიაღწია, მან მოსთხოვა [სულტანს] ინან-
ჯაყის გაცემა, რათა სამაგიეროდ დაესაჯა ის. რადგანაც ჯარის მყოლე ამირე-
ბის უმრავლესობა ინანჯაყის ნათესავი იყო, სულტანს ძალა არ შესწევდა
გაეცა ის. უბედურებას უბედურება დაერთო: სულთანმა სიფიცხე გამოიჩინა და
ჩინგიზხანის ელჩი მოჰკლა. შემდეგ მასთან (ჩინგიზხანთან) საომრად წავიდა და
ქაშღარის ველაჲეთში, ეთმე ნოინთან, რომელიც ქუშლაყის მოსაგერიებლად
იყო წასული, ბრძოლა გამართა. მონღოლები დამარცხდნენ, [მაგრამ] სულტანი
[მაინც] შიშმა შეიპყრო: ის დაბრუნდა უკან და მეფობაზე გული აიყარა.
... რადგანაც მაღალი ღმერთი წყალობდა მონღოლთა სახელმწიფოს, ბედ-
მაც ხელი შეუწყო იმ განზრახვას. ამირების ერთი ჯგუფი სულტანის საწოლს
64 თავს დაესხა. მას (სულტანს) შეეტყო [ამირების განზრახვა] ‖ და ადგილი გა-
მოეცვალა. ამირებმა მისი კარავი ისრების და ხმლის ცემით ისე გახადეს, რო-
გორც ზღარბის ზურგი. როცა გაიგეს, რომ სულტანი იქ არ ყოფილა, გაიქცნენ
და ჩინგიზხანის კარს გაემართნენ.
სულტანს უკვე ეჭვი აღარ ჰქონდა მასში, რომ ამირები მის წინააღმდეგ
ამხედრებული იყვნენ და მათი თავისთან ყოლა დიდ უგუნურებად ჩასთვალა.
ამირები მან სხვადასხვა ქალაქში გაგზავნა, ისე რომ, როცა მტერი მოვიდა, მისი
ხალხი (ჯარი) სრულებით გაფანტული იყო იქით-აქეთ და ერთსულოვნების
გზაც დახშული იყო. მტერს დიდად არ გასჭირებია თავის მიზნის მიღწევა.
სულტანი არ შებრძოლებია, ისე გამოექცა მონღოლთა ლაშქარს [და იბინა]
აბესგუნის კუნძულამდე. გარდაიცვალა ის 617 (=1220) წელს და იქვე დაასა-
ფლავეს. სუდარა ვერ უშოვეს და ტანთ რომ ეცვა, იმ ტანისამოსიდან გაუკე-
თეს სუდარა. როცა მონღოლები ამ მხარიდან თურანს წავიდნენ და სულტანი
ჯელალ ოდ-დინი ინდოეთიდან ირანს დაბრუნდა, მან ის (მამის ნეშტი) ამ კუნ-
ძულიდან არდეჰენის ციხეში გადაიტანა. ჯელალ ოდ-დინის [სიკვდილის] შემ-
დეგ, როცა მონღოლებმა ის ციხე დაიკავეს, ის (ნეშტი) საფლავიდან ამოიღეს
და დასწვეს.

ჯელალ ოდ-დინ მანქობორთი

სულტან ჯელალ ოდ-დინ მანქობორთი ბენ მოჰამედ ბენ თექეშ-ხან ‖ ბენ 65
ილ-არსლან ბენ ეთსეზ ბენ მოჰამედ ბენ ნუშთეგინ თავის მამის [სიკვდილის]
შემდეგ ხორეზმს წავიდა. მისმა მამამ პირველად ეზერლაყი დანიშნა ტახტის
მემკვიდრედ, შემდეგ კი, მონღოლთა შემოსევის დროს, ის გადააყენა და [ტახ-
ტის მემკვიდრეობა] ჯელალ ოდ-დინს მისცა.
ხორეზმის ამირები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ჯელალ ოდ-დინს არ შეეძლო
არც დარჩენილიყო იქ და არც რაიმე თადარიგი ექნა (ბრძოლისათვის). ის
გაემართა ღაზნას. მისი ძმები ეზერლაყი და აყ-სოლტანი დაედევნენ მას, რათა
დაემშვიდებიათ და უკან დაებრუნებიათ, მაგრამ ვერ დაეწიეს. მათ ომი შეხვ-
დათ მონღოლებთან და [ორივე] მოკლული იქნა.
სულტან ჯელალ ოდ-დინი ღაზნას წავიდა. იმ წელს მისსა და ჩინგიზხანის
[ლაშქრის] შორის შვიდჯერ მოხდა ბრძოლა და გამარჯვებული ყოველთვის ის
(ჯელალ ოდ-დინი) იყო, სანამ თვით ჩინგიზხანი არ გამოვიდა მასთან საომრად.
618 წლის შევალის თვეს (=1221 წ. ნოემბრ. 18—დეკემბრ. 18) ისინი
მდინარე სინდზე შეებრძოლნენ ერთმანეთს. ჩინგიზხანმა გაიმარჯვა, ხოლო სულ-
ტან ჯელალ ოდ-დინმა შვიდასი კაცით მდინარე სინდი უნავოთ გადალახა. ის
გადარჩა შვიდი კაცით და ინდოეთს წავიდა. მისი ლაშქარი, თითო და ორ-ორი
კაცი [თანდათან] შეუერთდა მას, სანამ მასთან დიდი ჯარი არ შეგროვდა. მან
დაიპყრა ინდოეთის დიდი ნაწილი და ორ წელიწადს დარჩა იმ ქვეყანაში. რო-
ცა მან გაიგო ჩინგიზხანი ირანიდან გაბრუნდაო, ჯეჰან ფაჰლავან ოზბეგი დას- 66
ტოვა ინდოეთში თავის ნაცვლად და თვით ირანისაკენ გაემართა. [ექვსას] ოც-
და ერთ წელს (=1224 წ. იანვრ. 24—1225 წ. იანვრ. 12) ის ჩავიდა ირანში
და პირველად ქერმანს მივიდა.
... სულტანი ჯელალ ოდ-დინი ბაღდადს წავიდა, არაბთა ლაშქარს შეებრ-
ძოლა და გაიმარჯვა. [შემდეგ ის] აზერბაიჯანისაკენ გაემართა და ეს ქვეყანა
დაიპყრო. მან ცოლად ითხოვა მალექე ხათუნი, ასული სულტან თოღრულ სელ-
ჯუკისა, რომელიც წინად ათაბაგ ოზბეგს ჰყავდა. ამაზე დარდმა და მწუხარე-
ბამ დასჩაგრა ოზბეგი; მას კოლინჯი დაემართა და მისგან გარდაიცვალა.
სულტან ჯელალ ოდ-დინმა აზერბაიჯანიდან საქართველოზე გაილაშქრა
და დაიპყრო ის. იქ მას ესმა, რომ ქერმანში მის წინააღმდეგ ამხედრებულიყო
ბორაყ ჰაჯები. [სულტანი] ჩვიდმეტ დღეში ტფილისიდან ქერმანს მივიდა. ბო-
რაყ ჰაჯები წინ მიეგება [მორჩილებით, „ფიშვაზ"-ით] და სულტანი უკან გა-
მობრუნდა დაკმაყოფილებული.
სულტან ჯელალ ოდ-დინის იქ არყოფნის დროს მალექ აშრაფ შამელმა
(შამს) [თავისი ხალხი] გაგზავნა, მალექე-ხათუნი ხოის ციხიდან გამოაყვანია და
მასთან ერთად განმარტოვდა (მასთან სქესობრივი კავშირი დაიჭირა). ქართვე-
ლებიც აგრეთვე მორჩილებიდან გამოვიდნენ. სულტანი ჯელალ ოდ-დინი ქერ-
მანიდან ხლათს გაემართა ‖ და მალექ აშრაფის დასჯას შეუდგა. ხლათის აღე- 67
ბის წინ მან შეიტყო, რომ ერაყს შემოსევია ვისილაც ჯარი. ისევ მოვიდა ამბა-
ვი, რომ ეს ფაჰლავან ოზბეგია, რომელიც ინდოეთიდან დაბრუნებულაო.

სულტანი საქართველოს წავიდა და დაიპყრო ის; ისევ ხლათს დაბრუნდა და მალექ აშრაფისათვის სამაგიეროს გადახდას (დასჯას) შეუდგა. ძალით დაიპყრა მან ხლათი და მალექე-ხათუნის გულისათვის სამაგიეროს გადასახდელად, მისი (მალექ აშრაფის) ცოლი წაიყვანა და მასთან ერთად განმარტოვდა.

ამის შემდეგ ის (ჯელალ ოდ-დინი) წავიდა საომრად სულტან ალა ოდ-დინ ქეი-კობად სელჯუკის წინააღმდეგ რუმს და მალექ აშრაფის წინააღმდეგ — სირიაში, მაგრამ ავადგახდომის გამო დამარცხებულ იქნა. გამომრთელების შემდეგ დაბრუნდა და სირია და რუმი საშინლად ააოხრა.
მაშინ სთქვა მან ეს რობაი:

„ომში რკინა ვართ და ლხინში — სანთელივით (რბილი),
მეგობრისათვის მწყალობელი ვართ, მტრისათვის კი — მრისხანე.
ჩვენი დიდებულების [სახელით] მართლმსაჯულებენ სირიაში,
და ჩვენი შიშით ზონარს იპრიან რუმში (ქრისტიანები)[62],

ამის შემდეგ [ჯელალ ოდ-დინს] ისპაჰანის კართან ბრძოლა ჰქონდა მონ-
ღოლების ლაშქართან. ამ ბრძოლაში ორივე მხარეს დაუმარცხდა მარცხენა
ფრთა. ათაბაგი ალა ოდ-დოულე ბენ ათაბაგ საად იეზდი, ალა ოდ-დოულე
გერშასფ ბენ ალი ბენ ფერამერზ ბენ ალა ოდ-დოულეს „მაზის“ (წინანდელის)
68 შვილისშვილი, ქეანთა გვარისა ‖ და აჯემის (ირანის) ხელმწიფეთა მოდგმისა,
რომელსაც ჯელალ ოდ-დინი მამას ეძახდა და ხორასნის ამირობა მისცა და
რომელიც 60 წელიწადი იყო იეზდის ათაბაგად, — ამ ომში მოკვდა მოწამის
სიკვდილით.

მონღოლთა ლაშქარი ხორასანს წავიდა. სულთან ჯელალ ოდ-დინი ლორესტანის მთებში გაიქცა, ხოლო დამარცხებულმა ხვარაზმელებმა ისპაჰანს მიმართეს. ისპაჰანელებს უნდოდათ მტრულად მოპყრობოდნენ მათ, მაგრამ ყაზი ოლ-ყაზათი (მთავარ მსაჯული) როქნ ოდ-დინ საედი წინააღუდგა ამას და შვიდი დღე ვადათ დანიშნა: თუ სულტანი (ამ შვიდ დღეში) არ გამოჩნდებოდა, ისპაჰანელები მათს სალაროს და ქონებას დაისაკუთრებდნენ. მას განზრახული ჰქონდა ხელმწიფედ დაესვა ხორეზმშაჰის ერთი დიდი ამირათაგანი, თუღან თაისი, თუ კი სულტანი არ გამოცხადდებოდა ამ ხნის განმავლობაში. ვადის [უკანასკნელ] დღეზე სულტანი მოვიდა ლორესტანიდან. მისიანებს გაეხარდათ, ხოლო ისპაჰანელებს ეწყინათ. სულთან ჯელალ ოდ-დინი ისპაჰანიდან არანს წავიდა, იქიდან ქურდისტანს მივიდა და ღვინის სმას მიჰყო ხელი.

ნურ ოდ-დინ მონშიმ მასზე სთქვა:

ლექსი.

„მეფეო! ღვინის სმიდან რა გამოვა
და უსაზღვრო ლოთობისაგან რა იქნება?!
მეფე მთვრალია და ქვეყანაც დაქცეული,
წინ და ზურგს უკან მტერი გვიდგას.
ცხადია, რაც გამოვა აქედან!

მონღოლთა ლაშქარი დაეძებდა მას (ჯელალ ოდ-დინს). 628 წ. შევალის 69
შუა რიცხვს (=1231 წ. აგვისტოს 16) ღამით უეცრად თავს დაესხნენ მას. ის მთვრალი იყო და ეძინა, [მაგრამ მაინც] ათასი ხერხი იხმარა და გაიქცა და ქურთების მთებში მიმოიქცეოდა. ძილმა დასძლია და ჩაეძინა. ერთმა ქურთმა, რომელიც მის ტანისამოსზე დახარბდა, ის დაიპირა. სულტანმა უთხრა მას თუ ვინც იყო და სთხოვა არდაველს ჩაეყვანა. ქურთმა ის თავის სახლში წაიყვანა და ცხენის მოსაყვანად წავიდა. სხვა ვიღაც ქურთმა, იმის გამო, რომ მისი ძმა სულტან ჯელალ ოდ-დინის ჯარს მოეკლა ხლათის ბრძოლაში, მოჰკლა სულტანი.

ხორეზმშაჰების ხელმწიფობა მოისპო და [მათი] ქვეყანა მონღოლებს დარჩათ.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. კასპიის ზღვა. არაბ-ირანელი მწერლები მას ეძახიან აგრეთვე გურგანის, დეილემის, თაბარისტანის, გილანის (ჯილანის) ზღვას, იმ ქვეყნების სახელთა მიხედვით, რომელნიც ამ ზღვას ეკვრიან. ძველს ქართულში — ზღვაჲ გურგანისაჲ.

2. ჯეზირე — შუამდინარე (მესოპოტამია). აქ მისი ჩრდილო ნაწილი უნდა იგულისხმებოდეს.

3. ფარსანგი ანუ ფარსახი უდრის დაახლოვებით 6—7 კილომეტრს.

4. نعمت ნიშნავს 'მადლს', 'სიკეთეს', 'სიმდიდრეს'; پر نعمت 'დოვლათით, ბუნებრივი სიმდიდრით სავსე', ,მდიდარი'.

5. روستا (ან روستاق) სოფელს, 'დაბას', დასახლებულ ქვეყანას ნიშნავს. აკად. ვ. ბ ა რ ტ ო ლ დ ი ს განმარტებით ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ქალაქის გარშემო გაშენებულ სოფელთა მთელს ჯგუფს (В. Бартольд, К истории Мерва: Зап. Вост. Отд., XIX, გვ. 131).

6. Cod. 603, c—سيلان, Cod. 603, cc—سبلان

7. Cod. 603, c—مزارعه

8. მოჰამედ იბნ აბილსაჯ, ხალიფა მუ'თამედის სარდალი, რომელმაც ხალიფას ბრძანებით წაართვა ბრძოლით ეს ქალაქი აბდულლაჰ ბენ ალ-ჰუსეინს.

9. Cod. 603, c—وربان, Cod. 603, cc—ورنان

10. Cod. 603, c—كرمه, Cod. 603, cc—كربه

11. ამ ტერმინით გადმოვსცემთ ჩვენ დედნის „ბარუ"-ს, რომელიც ნიშნავს სასიმაგრო ზღუდეს, მიწისა და ქვისაგან ნაყარს.

12. Cod. 603, cc—دب

13. Cop. 603, cc—طيرسران

14. Cod. 603. cc—ليزان

15. ტექსტში შეცდომით გვაქვს დაბეჭდილი Cod. 603 c-ის اكر Cod. 603 cc-ის უფრო მისაღები ذكره-ს ნაცვლად.

16. ეს ადგილი დამახინჯებული ყოფილა ორივე იმ ხელნაწერში, რომლებითაც უსარგებლნია აკად. დ ო რ ნ ს. Cod. 603 c: از آنجا برو آب كرمد آنجا آرند ; Cod. 603 cc უაზრო مد-ის ნაცვლად იძლევა ند-ს. აკად. დ ო რ ნ ს آنجا-ს ადგილას შესაძლებლად მიაჩნია ყოფილიყო ابخاز (აბხაზ).

17. Cod. 603 c—وريان, Cod. 603 cc—وربن

18. Cod. 603 cc— لاحان

19. აკად. დორნის აზრით ტექსტში არსებული „დუზდიდე“-ს ნაცვლად პირველად დედანში იქნებოდა „დუზიდე“ და ამ სიტყვას „ააშენეს“-ად თარგმნის, რადგანაც ებრაელებს ან სომხებს მინარას მოპარვა როგორ შეეძლოთო; მაგრამ აქ ჩვენ მხოლოდ ანეკდოტთან უნდა გვქონდეს საქმე.

20. სომეხთა მეფე (893—914 წ. წ.).

21. საზოგადოდ ბიზანტია; ჩვენს ტექსტებში იგულისხმება მცირე აზია.

22. Cod. 603 cc—بركرى

23. ფარსადან გიორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონით سگ آبى 'წყლის ძაღლი'—თახვია, დორნი მას See-Ottern—წავად თარგმნის; კარაულოვს მოჰყავს პროფ. როზენის აზრი, რომელიც ფიქრობდა, რომ 'წყლის ძაღლს' სელაპს ეძახოდნენო (СМОМПК XXIX, გვ. 66, შენ. 51).

24. 603, cc—ارومية

25. Cod. 603, c—اشتران زبى Cod. 603 cc-ს მიხედვით زبى გასწორებულია زينى-თ. ბარდავი განთქმული ყოფილა თავისი ჯორებით. ისტორიკოსი გარდიზი აგვიწერს იმ უძვირფასეს საჩუქრებს, რომლებითაც სულტან მაჰმუდ ღაზნელმა გაიოცა თავისი მეზობელი კადერ-ხანი და მათ შორის استران بردعى—ბარდაულ ჯორებსაც იხსენიებს (Гаффаров, Образчики персидск. письменности. Проза. გვ. 125).

26. قز „ყაზ“, რაც უფრო ზუსტად უდრის რუს. „шелк сырец“.

27. „მან“—წონის საზომი, სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა ოდენობისა; უდრიდა 16—30 კილოგრამს.

23. უნდა იგულისხმებოდეს ფულის წონა (არაბ. „სანჯ“), რომელსაც ამ ქალაქებში 1040 დირჰემი შეადგენდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა... გვ. 47—48).

29. დედანში არის „ნაყდ“-ფული, მონეტა, რომელიც ტრიალებს, ხმარებაშია.

30. Cod. 6 3 c.—ورنان, Cod. 603 cc—وزنان

31. Cod. 603 c—بابلخان

32. Cod. 603 cc—ابلخان

33. Cod. 603 cc—جنان, მაგრამ აქ დამახინჯებით ქალაქ ხუნანის სახელი უნდა იყოს მოცემული, როგორც დორნსაც აქვს გასწორებული თავის თარგმანში

34. Cod. 603 c—حاجتى

35. خالصه—სამეფო სახლის ან სახელმწიფოს უშუალო გამგებლობის ქვეშ მყოფი მამულები.

36. ميل „მილ“=დაახლოვებით 4000 ფუტს.

37. قصبه ჩვეულებრივ ნიშნავს მცირე ქალაქს, მაზრის ან თემის ადმინისტრაციულ ცენტრს, ხოლო ჩვენს ავტორს ის სატახტო, მთავარი ქალაქის მნიშვნელობით აქვს ნახმარი.

38. იხ. შენ. 8.

39. აკად. ბარტოლდს უცნაურ შეცდომად მიაჩნია ის, რომ ყურანის სიტყვები ხელმწიფის შესახებ „რომელიც ყოველ გემს ძალით იტაცებდა“ (ყურ. 18_{78}) ავტორს აქ ხმარებული აქვს კონტინენტალური ქალაქის აჰარის მიმართ. ლეგენდა, ამბობს ის, შეეხება ჯოლანდიდების დინასტიას, რომლის მთავარი შტო მართავდა ომანში, ხოლო მეორე შტო, „ომარის ოჯახი“, ფლობდა მხარეს ფარსის ნაპირებზე, ქერმანის ახლოს, სადაც ჩვენი ავტორის სიტყვით იყო „მეთევზეთა ადგილი და ვაჭართა სადგომი (Худуд ал-ʿалем, Введение, გვ. 27—28). მაგრამ პროფ. კ. ი. ჩაიკინის აზრით, რომელიც მან კერძო საუბარში გამოსთქვა, აქ ლაპარაკია ამ დინასტიის კიდევ სხვა შტოს შესახებ, რომელსაც ერთ დროს დაუტოვებია ზღვის პირი და მეიმედში გაბატონებულა.

რავადს და მის შთამომავალთ რამდენიმე ადგილას იხსენიებს აგრეთვე სომეხთა ისტორიკოსი ასოღიკი: „ამავე წელსა და ამავე დღეს, 447 წელს, (=998) კვლავ ჰკრებს ჯარს მამლანი ძე აბლჰაჯისა, შვილიშვილი როვდა (რავად) ატრპატაკანის ამირასი, რომ მოვიდეს ბრძოლით დავით კურაპალატზე. და აგროვებს სიმრავლეს სპარსთა და მართა ძალისას და ხორასნის ამირას შემწეობით და სხვა ბარბაროსთა დიდი ძალით ფიქრობს დაეუფლოს სომხეთსა და საქართველოს, ააშენოს ქალაქი კარნუ და იავარყოს ტაოს ქვეყანა, სანაცვლოდ მისა, რომ მანაზკერტში დაუნგრიეს მას ქრისტიანებმა სამლოცველო სახლი“ (*Ստեփաննոսի Տարօնեցւոյ Ասողկան Պատմութիւն Տիեզերական*, II გამოც. პეტერბურგი 1885 წ., გვ. 269—270) *).

40. იგულისხმება აბრეშუმის ჭიის საკვები თუთის ფოთოლი.

41. „რუსების“ (არა სლავების) ჯარმა ბარდავი აიღო 913 წ.

42. ასე განმარტავენ جفوری-ის ჯონსონის და ვულერსის ლექსიკონები. მაგრამ თუ ეს სიტყვა არაბული ზმნის حفر 'თხარა'-საგან არის წარმოებული, ის შესაძლებელია ნიშნავდეს ამოჭრილი ორნამენტით შემკულ ჭურჭელს ან, პროფ. კ. ჩაიკინის აზრით, დაახლოვებით ისეთს ქსოვილს, როგორსაც ძველს რუსულში 'рытый бархат' ეწოდებოდა.

43. ყიბლა—სამხრეთი, ყაბა, აგრეთვე მხარე (ქ. მაქას მიმართულებით), საითკენაც ლოცვის დროს მიიბრუნებდნენ ხოლმე პირს მაჰმადიანები.

44. „თუმანი“—ტერიტორიალური ერთეული, რომელზედაც იყოფოდა დიდი პროვინციები (ველაეთები).

45. 12—13 საუკუნეები. ადერბაიჯანში ათაბაგები ბატონობდნენ 1136—1225 წ.

46. თუმანი 10.000 ვერცხლის დინარს უდრიდა. ვ. ბარტოლდის გამოანგარიშებით, 120 თუმანი და 2 ათასი დინარი, რომელსაც საქართველო უხდიდა ილ-ხანებს, 901.500 მან. შეადგენდა (В. Бартольд, Персидская надпись на стене анийской мечети Мануче, გვ. 23).

---

*) ამონაწერი თარგმანითურ მომაწოდა დოც. ილია აბულაძემ, რომელსაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

47. კანარის კუნძულები, რომლებიდანაც ანგარიშობდნენ არაბები გეოგრაფიულ სიგრძეს.

48. იმ მი მოჰამედ იბნ იდრის შაფიჲ (767—820 წ. წ.), მუსლიმანური მართლმორწმუნე მიმართულების დამაარსებელი.

49. იბნ ხორდადბეჰის გეოგრაფიული შრომა „გზანი და სამეფონი“.

50. ალ-ბალხის გეოგრ. შრომა „დედამიწის სარტყელთა სურათი“.

51. სპარსეთისა და ხმელთაშუა ზღვის.

52. ლექსი დამახინჯებული უნდა იყოს. შაჰ-ნამეს ევროპულ გამოცემებში (ვულერსის, მოლის) ეს ლექსი არ ჩანს. ფერჰადი—შაჰ-ნამეს ერთი გმირთაგანია.

53. აკად. დ ო რ ნ ი შემდეგნაირად თარგმნის ამ საყურადღებო ადგილს: „und sie sind mit Rücksicht auf zahlreiche Anweisungen und örtliche Dienstpflichten übergross“ (Geographica Caucasica, ცალკე ამონაბეჭდის 76 გვ.), ე. ი. დედნის „დჾრ ვჾჯჰ“ მას გაუგია როგორც „დჾრ ვჾჯჰე“ და გადაუთარგმნია „mit Rücksicht“. მაგრამ იგი ნიშნავს აგრეთვე, გასავალს (ხარჯს (იხ. Я г е л л о, Перс.-араб.-русский словарь) და ამავე ტერმინით, როგორც გადმოგვცა აბულ-ჰასან განი-ზადემ, აღინიშნებოდა უკანასკნელ ხანებშიაც ირანში სავაჭრო დავთრის ის გვერდი, სადაც გასავალი, კრედიტი იწერებოდა. სახელმწიფო დავთარშიაც ნაწყალობევი მამულები, რომლებიც „შეუვალობით“ სარგებლობდნენ და რომლებიდანაც, მაშასადამე, გადასახადი არ შემოდიოდა, დავთრის ასეთს ნაწილში უნდა ჩაეწერათ.

54. ჲაკუთის ცნობილი გეოგრაფ. შრომა.

55. იხ. შენ. 48.

56. სელჯუკთა სახელმწიფოს ოფიციალური აღწერა, რომელიც მელიქ-შაჰის დროს შეუდგენიათ. ითვლება დაკარგულად. (იხ. В. Бартольд, К истории Мерва: Зап. Вост. Отд. Русск. Арх. Об-ства, XIX. გვ. 131).

57. ავტორი აქვე იხსენიებს მეორე მდინარეს ფარსის პროვინციაში, რომელსაც აგრეთვე کر ერქვა, და მას کر فارس ეძახის.

58. საქართველოს მეფე ბაგრატ IV გიორგი I-ის შვილი. ეს შემოსევა ალფარსლანის მეორე დიდი შემოსევა უნდა იყოს საქართველოში, როცა მტერმა „ურიცხვი ოქრო-ვერცხლი და თვალ-მარგალიტი“ წაიღო და ტყვეები წაასხა საქართველოდან. „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობით ეს მოხდა ქრონიკონსა 288 ანუ 1068 წ. (ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 448).

59. بق საკუთრო სახელი.

60. ამ ამბებს შემდეგნაირად მოგვითხრობს ქართველი მემატიანე: „ამას ჟამსა მოიკლა ყიზარსლან ათაბაგი, აწ გასულტნებული, მოლიდთა მიერ და დარჩნეს სამნი შვილნი ფალავანდისნი. მპყრობელად ყოვლისა სპარსეთისა, რომელთა მამისა და ბიძისაგან გაჰყოფდეს ქვეყანანი ესრეთ: უხუცესსა ხუტლუ-ნანჩის, ერაყით ხვარასნამდის და ბაბილოვნამდის, და შედევსა ამირ-ბუბაქარს ადარბადაგანი სომხითამდის და უმცროსსა, ამირ-მირმანს—არანი, გურგანის ზღვით, ვიდრე გელაქუნისა ზღვადმდე ... შეიქმნა შური და კდომა მათ შორის. ხძლია უშუალესმან ამირ ბუბაქარ და არტა უფროსი ძმა და დაჯდა ათაბაგად და უმცროსი ძმა ამირ-მირმან არანიდამან შარვაშეს შეესიძა“ («ქართლის ცხოვრება», ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 437—8).

61. დიდი ომი რუქნადდინთან ქართველებს მოუხდათ 1206 წ., როცა მემატიანის სიტყვით, «მოვიდა რუქ[ნ]ადინი... (ქართველებმა) გააქციეს, კოცეს და ამოსწყვიტეს...» (ანა დედოფლისეული «ქართლის ცხოვრება».—ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართვ. ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 617).

62. ზონარი—აღმოსავლელ ქრისტიანეთა სარტყელი. ავტორს უნდა თქვას, რომ ქრისტიანები სტოვებენ თავის სარწმუნოებას და მაჰმადიანობაში გადადიან.